ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სალომე ლომთათიძე

სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარება

დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დემოგრაფიისა და მოსახლეობის
გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვაჟა ლორთქიფანიძე,
აკადემიკოსი

თბილისი 2019

ანოტაცია

სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარება

წინამდებარე ნაშრომში, დინამიკაშია გაანალიზებული დემოგრაფიული მოვლენები და პროცესები და სამცხე-ჯავახეთში. გაშუქებულია დემოგრაფიული განვითარების მეტ-ნაკლებად შესწავლილი თუ შეუსწავლელი საკითხები. ნაშრომის მეხუთე თავში პირველადაა განხილული რა შედეგებს მივიღებთ სამომავლოდ, თუკი დემოგრაფიული სიტუაცია შენარჩუნებული იქნება მომდევნო წლების მანძილზე. გაკეთებული პროგნოზი, შესაძლოა, გათვალისწინებულ იყოს როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე ცალკეული რეგიონის დემოგრაფიული განვითარების კონცეფციის შესამუშავებლად.

საკვლევი პრობლემები განხილულია როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე განვითარების ჭრილში. ისტორიული მასალებისა და დემოგრაფიული სტატისტიკის ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებით შესაძლებელი გახდა სამომავლო შედეგების გაანგარიშება.

ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში დემოგრაფიული სიტუაცია სხვადასხვაგვარად ყალიბდება. უკანასკნელ ათწლეულებში ინტენსიური მიგრაციული პროცესების შედეგად თანდათან გაუარესდა მოსახლეობის განსახლება, რაც უმთავრესად მთიან და მთისწინა რეგიონებში მცხოვრებთა მკვეთრი შემცირებით გამოიხატა. საჭიროა გადაიჭრას მრავალი პრობლემა, რომელიც შეეხება ამ რეგიონებისა და მისი ცალკეული მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის არსებობისთვის სათანადო პირობების შექმნას, იქნება ეს მატერიალური თუ ინფრასტრუქტურული, მიგრაციული პროცესების მოწესრიგებას, ახალგაზრდების ადგილზე დამკვიდრებას. ყოველივე აღნიშნული მთლიანად შეეხება საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ რეგიონს, სამცხე-ჯავახეთსაც.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის დემოგრაფიული სიტუაციისა და პერსპექტივების ანალიზისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ამ მხარეში განსკუთრებით მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა იქმნება მიგრაციული პროცესების გავლენით. პირველ

რიგში, უნდა გამოიკვეთოს მიგრაციის გამომწვევი მიზეზები და განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები, რაც მიგრაციის მართვის შესაძლებლობებს უზრუნველყოფს.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ დღის წესრიგში ხელახლა დადგა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მესხეთიდან დეპორტირებული მუსლიმების დაბრუნების პრობლემა. როცა საუბარია დეპორტირებულთა დაბრუნებაზე, ყველა კითხვას, რომელიც ნაშრომშია მოყვანილი პასუხი უნდა გაეცეს. უნდა გავიაზროთ და შევაფასოთ მთელი ამ პროცესის სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური მხარეები და კომპონენტები. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებელია აღნიშნული ურთულესი პრობლემის მოსაგვარებლად.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთში დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების მეცნიერული ანალიზი, მათი დინამიკაში განხილვა, მიგრაციული პროცესების დახასიათება. საკვლევი პროცესები და მოვლენები განხილულია როგორც ისტორიულ და თანამედროვე, ასევე სამომავლო ჭრილში. მოცემულია მათი განვითარების ინტენსივობა დროსა და სივრცეში. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, დღევანდელი და სამომავლო შესაძლო მდგომარეობის გაანალიზებისას შესაძლებელია რეკომენდაციის გაწევა, რომ უნდა ჩატარდეს სათანადო კვლევა მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობისა და დემოგრაფიული ქცევის თავისებურებებათა შესასწავლად, რათა შემუშავდეს დემოგრაფიული პოლიტიკა და სტრატეგიები, რომლებიც უკიდურესად საჭიროა.

Annotation

In the present work, demographic events and processes are analyzed dynamically in Samtskhe-Javakheti. It has been shown and discussed the more or less studied and unexplored issues of demographic development.In the fifth chapter of the work we will first examine the results of the future, if the demographic situation will be maintained over the next few years. The present forecast can be considered for the development of the concept of demographic development of the country, as well as the individual region.

Problems are discussed both in historical and in modern ways. By analyzing the information, received from the analysis of historical materials and demographic statistics, it is possible to calculate the future results.

Demographic situation in separate regions of the country is developing differently. Over the last decades, intensive migration processes have deteriorated to the population, which is mainly reflected in the reduction of residents in mountainous regions. It is necessary to solve many problems related to the socio-economic problems of these regions and its individual municipalities, creating relevant conditions for the population. All the issues mentioned above also refer to one of the oldest historical regions of Georgia, Samtskhe-Javakheti.

In analyzing the demographic situation and perspectives of the Samtskhe-Javakheti region, it has emerged thet a particularly difficult situation in this area is created by the impact of migration processes. First of all, the reasons of migration should be identified and the measures that will enable migration management.

After the independence of Georgia, the main problem was return of deported Muslims. When it comes to deported Muslims, every question should be answered in this work. We need to understand and evaluate the legal, social and economic components of this process.

The purpose of the work is to analyze demographic events and processes in Samtskhe-Javakheti, to discuss and characterize the migration processes. Problems are discussed both in historical, in modern and for the future ways. The intensity of their development is given in time and space. Based on all this, on the basis of current and future possible conditions, it is possible to make a recommendation to study the reproductive mood and demographic behavior of the population in order to develop demographic policies and strategies.

MA thesis. Lomtatidze Salome – Demographic Development of Samtskhe-Javakheti

სარჩევი

შესავალი.....7

თავი I. სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარების მიმოხილვა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე 9

თავი II. სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარების მიმოხილვა XIX საუკუნეში 18

თავი III. სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარების მიმოხილვა XX საუკუნეში 28

3.1 მესხეთელი მუსლიმები 47

თავი IV. სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული მდგომარეობის მიმოხილვა XXI საუკუნეში.....50

თავი V. პროგნოზი.....61

დასკვნა.....63

გამოყენებული ლიტერატურა 65

დანართი 66

შესავალი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეხება სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიულ განვითარებას უძველესი დროიდან დღემდე. ნაშრომში მოყვანილია და შეძლებისდაგვარად ურთიერთკავშირშია მოცემული ყველა ის ისტორიული მოვლენა, რამაც გავლენა იქონია სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული მდგომარეობისა და ეროვნულ შემადგენლობის ფორმირებაზე.

საქართველოში დემოგრაფიული ვითარება, ქართველი ერის გამრავლების მდგომარეობა მეტად მწვავეა. სულ უფრო მცირდება შობადობის დონე, ამის პარალელურად იზრდება მოკვდაობის დონე. ეს პროცესები მკვეთრად გამოხატულია ქართულ მოსახლეობაში, რომელთა შორის ბუნებრივი მატების დონე ორ-სამჯერ დაბალია, ვიდრე ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებში. განსაკუთრებით მცირდება ქართველების ბუნებრივი მატება სოფლად.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას მეოცე საუკუნის 90-იან წლებში თან მოჰყვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი. საბჭოთა კავშირის დაშლას და ეკონომიკური კავშირების სწრაფად გაწყვეტას დაერთო შიდა პოლიტიკური აშლილობა, რამაც უდიდესი ნგრევა გამოიწვია, განსაკუთრებით კი ეკონომიკურ სფეროში. ყოველივე ამან განაპირობა მოსახლეობის გაღატაკება, რამაც უდიდესი კვალი დაატყო დემოგრაფიული პროცესების მიმდინარეობას.

ნაშრომში განხორციელებული ანალიზის შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ მეოცე საუკუნის ბოლო წლებიდან მოყოლებული, განსაკუთრებით კი რეგიონებში, დემოგრაფიული სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა. დემოგრაფიული განვითარების ძირითადი მაჩვენებლები ისეთ ზღვარს მიუახლოვდა, როდესაც შეუძლებელი ხდება მოსახლეობის მარტივი აღწარმოება - თაობათა განახლება ერთი და იმავე რაოდენობით. საკვლევი რეგიონის მაგალითზე გამოჩნდა, რომ რეგიონებში დაიწყო მოსახლეობის დეპოპულაციის პროცესი, საგრძნობლად გაიზარდა გარე მიგრაციის ინტენსივობა.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მათში მცირდება ახალგაზრდების ხვედრითი წილი და იზრდება 65

წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი, რაც დემოგრაფიულ დაბერებაზე მეტყველებს.

სამცხე-ჯავახეთის შესახებ ვრცელ ისტორიულ მასალებს გვაწვდიან ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ვ. ჯაოშვილი, პ. ინგოროყვა, ს. მაკალათია და სხვა, ხოლო დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ა. თოთაძესა და ვ. ლორთქიფანიძეს, სწორედ ამ უკანასკნელს ეკუთვნის მეოცე საუკუნის ჩათვლით ამ რეგიონის დემოგრაფიული განვითარების ანალიზი. საინტერესეოა, როგორ წარიმართა მას შემდეგ დემოგრაფიული პროცესები სამცხე-ჯავახეთში და რა პრობლემებს ვხდებით დღეისათვის. ნაშრომის შეჯამებისას ვასკვნით, რომ მიგრაცია კვლავ რჩება რეგიონში დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესების ერთ-ერთი ძირითად ფაქტორად.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე დემოგრაფიული მოვლენები და პროცესები, რომელთა საფუძველზეც გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და წარმოდგენილია სათანადო რეკომენდაციები შესაბამისი ღონისძიებების დასახვის მიზნით, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ამ რეგიონის მოსახლეობის ოპტიმალური გამრავლების, ასევე მთლიანად ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად.

თავი I. სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარების მიმოხილვა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს მნიშნელოვანი კუთხეა. იგი ისტორიულად ზემო ქართლში - მესხეთში შედიოდა. ამ მხარემ უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული განვითარების საქმეში. მესხეთის სახელწოდება წარმოდგება ქართველური ტომის - მესხებისგან, რომლებიც აქ უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. ზემო ქართლი, ანუ მესხეთი შედგებოდა შემდეგი ნაწილებისგან: შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე: 1. აჭარა, 2. ქობულეთი, 3. ლივანა, 4. ჭანეთი, ანუ ლაზიკა (ლაზისტანი), ჭოროხის ხეობაში: 5. შავშეთი, 6. კლარჯეთი, 7. ტაო, 8. ბასიანი, 9. ისპირი, 10. თორთომი, მტკვრის ხეობაში: 11. სამცხე, 12. ჯავახეთი, 13. არტაანი, 14. კოლა, 15. აბოცი. (ვ. ნოზაძე, 1989)

ისპირი და ლაზისტანი უძველეს დროში ხალიბებს, ანუ ლაზებს ეკუთვნოდა, ქრისტეს შობამდე II საუკუნეში სომხებმა დაიკავეს ტაო და გაქრისტიანების შემდეგ (IV საუკუნე) ამ მხარეში ქართველებმა განავრცეს თავისი ხელისუფლება. ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი, პროკოფი კესარიელი წერს: მესხები *„ძველთაგანვე იბერთა ქვეშევრდომნი“* იყვნენო, ანუ პოლიტიკურად ქართლს ეკუთვნოდა. (ვ. ნოზაძე, 1989)

უძველეს დროში მესხთა ტომი მძლავრ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. ძველი წელთაღრიცხვის XI საუკუნიდან მოყოლებული მუსკები, ტაბალები და ქაშკები, რომლებიც მერმინდელ მესხთა, იბერთა და კოლხთა წინაპარი ქართველური ტომები იყვნენ, უკვე პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანან. სწორედ მესხთა ტომის სიძლიერეზე მეტყველებს ასურული წარწერა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვით 1100 წლით თარიღდება. ამ წარწერაში მოხსენებულია სუბარების ქვეყანა. როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, *„ამ დროს ხეთურ-სუბარული ტომებიდან უფრო ძლიერნი ყოფილან მუსკები, მერმინდელი მესხები, რომელნიც ზოგჯერ თვითონ ესხმოდნენ თავს ასურეთს და მის თემებს იპყრობდნენ“.* [ვ. ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 5-6].

მესხების რაოდენობის შესახებ უძველესი დროისთვის ინფორმაცია არ მოიპოვება, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული წყაროებით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ მესხთა ტომი იმ პერიოდისთვის საკმაოდ მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო. ამას პირველ რიგში ამტკიცებს, რომ მესხების სამეფო რამდენიმე სამეფოდ იყო გაყოფილი, მეორეც, ისინი მაშინდელი ერთ-ერთ უძველესი სახელმწიფოს - ასურეთის დაპყრობასაც ბედავდნენ. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

მესხების შესახებ ცნობები მოიპოვება ანტიკურ წყაროებშიც. უძველესი წყაროებიდან ირკვევა, რომ ისინი ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულები იყვნენ და განვითარებული საქალაქო ცხოვრება ჰქონდათ. ისინი მისდევდნენ მიწადმოქმედებას, აშენებდნენ ვაზს და აყენებდნენ ღვინოს, იცოდნენ მადნეულის დამუშავება. არსებული მოსაზრების თანახმად, მესხები უძველეს დროში ასევე ცხოვრობდნენ აფხაზეთშიც. ჯერ კიდევ ნიკო მარმა წარმოადგინა დებულება აფხაზთა ქართველური, სწორედ კი მესხური წარმომავლობის შესახებ. პავლე ინგოროყვას მიხედვით, აფხაზთა ტომის სახელწოდების თავდაპირველი სახეობა არის მოსხი, იგივე მესხი, რაც თავისთავად ცხადყოფს, რომ აფხაზები ქართველ ტომთა ჯგუფს მიეკუთვნებიან. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება აკადემიკოსი ქ. ლომთათიძე, მისი აზრით ქართველები და აფხაზები მონათესავე ხალხებია. ამჟამად არსებული მასალა საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ არა მესხებისა და აბაზგთა იგივეობაზე, არამედ ვივარაუდოთ, რომ ძველთაგანვე აფხაზეთის მკვიდრი ქართველური ტომები მესხები და კოლხები ამ ხანაში აბაზგთა ახლადშექმნილ სამთავროს ფარგლებში შედიან და აქტიურად მონაწილეობენ აბაზგთა სამთავროს შემდგომ პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. [ვ.ლორთქიფანიძე, 1994, გვ 7-8]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მტკიცდება, რომ მესხები უძველეს დროში საკმაოდ ძლიერ და მრავალრიცხოვან ტომს წარმოადგენდნენ. *„ძველი წელთაღრიცხვის VI-IV საუკუნეებში, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობდა ქართლის ტომების კონსოლიდაცია, დაწინაურდნენ მესხური ტომები, რომლებიც თავის დასახლებებს შიდა ქართლშიც ქმნიდნენ. ერთ-ერთი ასეთი დასახლება იყო მცხეთა, რომლის სახელწოდებაც მესხთა სახელიდან არის ნაწარმოები - „მ(ე)ცხ-ეთა“. ამასთან,*

მესხებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც უცხოვრიათ: ხუნძები ფშავ-ხევსურებს „მოსიხის“ სახელით იცნობდნენ“. [ვ.ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 8]

მესხეთის მხარეები
VIII-X საუკუნეებში
შავი ზღვა
ბათუმი
ჭოროხი
ტაო
ერეჯანი
ფარეხი
ბანა
ბალოთა
ოლოთი
ბაბური
ზემო სვერი
ქვემო სვერი
ფანასკერტი
ბოლნისი
ბაშოლოკანი
ოლი
ბანა
ბალოთა
ბალოთა-ფერი
ბალოთა-ფერი
ბალოთა-ფერი

სამცხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა ჯავახეთი. ისტორიულად წყაროებში ჯავახეთი, როგორც ქართულ ენციკლოპედიაშია აღნიშნული, პირველად ძველი წელთაღრიცხვის 785 წელს იხსენიება ურარტუს მეფის ანგიშთი I-ის წარწერებში. უძველესი დროიდანვე ჯავახეთი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავო იყო. მის ცენტრს ქალაქი წუნდა წარმოადგენდა, რომელიც ქართული ეროვნული ტრადიციის თანახმად დაარსა ქართველთა ერთ-ერთმა ეთნაქარმა ჯავახოსმა. X საუკუნიდან ქვემო ჯავახეთის ცენტრი ხდება თმოგვი, ხოლო XI საუკუნიდან ზემო ჯავახეთისა - ახალქალაქი. ისტორიულად ჯავახეთში შედიოდა ახლანდელი ასპინძის რაიონის ტერიტორიისა და თურქეთის მომიჯნავე ტერიტორიის ნაწილი. ამჟამად ჯავახეთში შედის ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

სამცხესა და ჯავახეთს ადრეული საუკუნეებიდან ბევრი უბედურება დაატყდა თავს. მოსახლეობის აკლებაში, მიწებისა და ქონების მითვისებაში გამოირჩეოდნენ ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, ოსმალო-თურქები და მონღოლები. 1021 წელს ბიზანტიის ლაშქარმა მოაოხრა ჯავახეთი და არტაანი. 1060 წელს თურქებმა არაერთხელ გაძარცვეს ახალქალაქი და ტყვედ წაიყვანეს ურიცხვი ქართველი. იგივე ბედი ეწია ახალციხესაც. არანაკლები მრისხანებით გამოირჩეოდნენ მონღოლები, 1261 წელს მონღოლების ლაშქარი 20 დღის განმავლობაში არბევდა სამცხეს. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)


მესხეთი
და მასთან დაკავშირებული
აღმ. ლაზეთი და ბასიანი
(XIII-XIV საუკუნეთა საზღვარზე)
ბათომი
ბურია
ქართლი
ანყური
ბორი
ბორი
ბიჯანი
ახალციხე
ჯაყი
სამცხე
ახალქალაქი
ბაბაშმეთი
ბრბოვი
ჯავახეთი
ბოგდანი
ბიბალეთის ხევი
ტბეთი
ბაკეთი
ბაკეთი
ბაკ

დროს, როდესაც მესხეთში გამგედ დანიშნეს ივანე მხარგრძელი. გიორგი მეხუთემ ათაბაგობა უბოძა ყვარყვარე ჯაყელს, ხოლო გიორგი მერვეს დროს ყვარყვარე მეორემ 1463 წელს თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა და მას შემდეგ ამ მხარეს სამცხე საათაბაგო დაერქვა, რომელსაც არასტაბილური ურთიერთობა ჰქონდა ქართულ სამეფოებთან.(ვ. ნოზაძე, 1989)

ოსმალეთის მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ (1453 წ.) და ბიზანტიის იმპერიის მოსპობის მერე, ამასთან, ტრაპიზონის იმპერიის განადგურების შედეგად (1461 წ.) ოსმალეთის იმპერია ხშირად ესხმოდა თავს სამცხე საათაბაგოს. საბოლოოდ ათაბაგები იძულებულნი გახდნენ სულთანის ხელისუფლება ეღიარებინათ, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ქრისტიანული კულტურის ფარგლებში იმყოფებოდნენ. სამცხის უკანასკნელი ქრისტიანი ათაბაგი იყო მანუჩარი, რომელიც მისმა ბიძამ მოწამლა, მიიღო მუსლიმობა და სულთანის მიერ დაინიშნა ახალციხის ფაშად - ცნობილია როგორც საფარ ფაშა. საფარ ფაშამ მესხეთში შემოიღო ოსმალური წესები, დაიწყო ადმინისტრაციული და ფისკალური წესებით ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ორ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა. ამ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, თუმცა ქართული ენა კვლავაც გაბატონებულად ითვლებოდა, ოღონდ მესხთა ზნე-ჩვეულებაში ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა თურქული. (ვ. ნოზაძე, 1989)

თურქეთმა XVI საუკუნეში ისარგებლა საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობით, მესხეთი დაიპყრო და მის გათურქებას შეუდგა. თურქებმა აქ თავიანთი ხელისუფლება დაამყარეს და დაარსეს ახალციხის საფაშო, რომელიც უპირველესად ქართლზე თავდასხმისთვის სჭირდებოდა. XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან დაწყებული ე.წ. „გათათრების პროცესი“ XIX საუკუნის დამდეგამდე გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში ქართლი, იმერეთი და გურია ყოველთვის ცდილობდნენ მესხეთის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. ახალციხის ფაშას ზურგს უმაგრებდა სტამბოლის ხონთქარი და ოსმალურ პოლიტიკას ატარებდა. ბოლოს ოსმალეთმა მოიწადინა მესხეთის ავტონომიური არსებობის მოსპობაც და ათაბაგ უსუფ მესამეს შემდეგ სამცხის ათაბაგობა აღკვეთეს და მთელი სამცხე თურქულ ადმინისტრაციას დაუმორჩილეს (1744 წ.). ქართველი მეფეები იმედს არ კარგავდნენ, რომ სამცხეს საქართველოს წიაღში დააბრუნებდნენ. ერეკლე მეორე რუსეთთან ხელშეკრულების დადებისას სწორედ

მესხეთის შემოერთებას მოითხოვდა, მაგრამ *„რუსეთმა პირველ ყოვლისა თვით საქართველო შეიერთა“.*(ვ. ნოზაძე, 1989)

ერეკლე II რუსეთის მთავრობას უმტკიცებდა, რომ საჭირო იყო ქრისტიანობის საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად ბრძოლა. ქართლ-კახეთის პოლიტიკური გეგმა ქართლზე თავდასხმის ხელსაყრელი ტერიტორიის - ახალციხის საფაშოს დაბრუნება იყო. ერეკლე მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა ესარგებლა რუსეთ-თურქეთის ომით და მტრისთვის წაერთვა ქართული მიწა-წყალი. 1770 წელს ერეკლემ ასპინძასთან თურქეთის ლაშქარი დაამარცხა. ის შეეცადა მესხეთის დაბრუნების საკითხზე დიპლომატიური მოლაპარაკებები ეწარმოებინა ეკატერინე II-სთან. 1771 წელს ერეკლე თავის მოხსენებაში აყალიბებდა თუ რა პირობებში სურდა მიეღო რუსეთის მფარველობა. საქმე იმაში იყო, რომ ის მოითხოვდა რუსეთს დაეპყრო და გაეთავისუფლებინა ახალციხე და თუ სულთანთან შერიგება მოხდებოდა, მაშინ ეს მხარე საქართველოს უნდა შეეერთებინა. იგი წერს: *„ქვეყანა ახალციხისა... საქართველოს შინა არის და ქართული ენა აქუს, და მრავალი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხუანიც ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზე“.* 1783 წელს დადებული „გეორგიევსკის ტრაქტატი“ რუსეთსა და საქართველოს შორის მესხეთის დაბრუნებას ითვალისწინებდა. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობასა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ მოსახლეობის აღწერის მონაცემები XVI საუკუნემდე არ არსებობს, მართალია საქართველოში ტარდებოდა აღწერები, თუმცა ცნობებს აღწერების შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია. თუმცა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შესაძლებელია ამ მხარის მოსახლეობის მეტ-ნაკლებად რეალური სურათის წარმოდგენა.

როგორც აღინიშნა, გამუდმებულმა ომებმა, ეპიდემიებმა, ტყვეთა სყიდვამ თუ სხვა მოვლენებმა მძიმე დაღი დაასვეს მესხეთის მოსახლეობას. რიგ შემთხვევებში მტრის შემოსევები უკაცრიელს ხდიდა დასახლებულ პუნქტებს. XI საუკუნის დასასრულს “დიდი თურქობის“ დროს მნიშვნელოვნად შემცირდა მესხეთის მოსახლეობა. უფრო ადრე, კი არაბებმა მოახერხეს მნიშვნელოვნად შეემცირებინათ მოსახლეობა. აღსანიშნავია, რომ V-VII საუკუნეებში კლარჯეთში სამი საეპისკოპოსო

არსებობდა, ხოლო 840-იან წლებში 12 სავანე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს მხარე მჭიდროდ იყო დასახლებული. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

გარდა პოლიტიკური ვითარებისა, აღსანიშნავია ბუნებრივი კატაკლიზმები. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ სამცხეში დამანგრეველი მიწისძვრა მომხდარა, რომელმაც უამრავი ადამიანი სიცოცხლე შეიწირა და ქონებაც გაანადგურა. სამწუხაროდ, ასეთი სიძლიერის მიწისძვრები სამცხეში ხშირად მეორდებოდა. ციხე-ქალაქი თმოგვი რამდენჯერმე დაანგრია მიწისძვრებმა (1089წ, 1283წ და 1319წ). (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

1254 წელს მონღოლების მიერ ჩატარებული აღწერა არის პირველი რეალური მონაცემები რამაც ჩვენამდე მოაღწია (იქამდე აღწერა ჩატარდა VII საუკუნეში, ხოლო შემდგომი XI საუკუნის 20-იან წლებში ბიზანტიის მიერ). 1254 წლის აღწერის მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოს მოსახლეობა ამ დროს შეადგენდა 5 მილიონ ადამიანს. აღნიშნული მონაცემების გაანალიზებით ნავარაუდევია, რომ ამავე პერიოდში სამცხე-ჯავახეთში 200 ათას კაცს მაინც უნდა ეცხოვრა. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)(ა.თოთაძე, 1993)

მას შემდეგ, რაც XVI საუკუნეში ოსმალო-თურქებმა სამცხე-საათაბაგო დაიპყრეს და მას „გურჯისტანის ვილაიეთი“, ანუ „საქართველოს პროვინცია“ უწოდეს, მოსახლეობის რაოდენობა განუხრელად მცირდება. მესხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ დროს ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირა, გარკვეულმა ნაწილმა კი შექმნილი პირობების გამო გადასახლება არჩია და თავი ქართლსა და იმერეთს შეაფარა.(ვ.ლორთქიფანიძე, 1994)(ა.თოთაძე, 1993)

„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ოსმალეთის ხელისუფლებამ, ადგილობრივი მოსახლეობის დაბეგვრის მიზნით, დასაბეგრავი ობიექტების საყოველთაო აღწერა ჩაატარა. სპეციალურ დავთარში შეჰქონდათ მოსახლეობის დაბეგვრისთვის საჭირო ცნობები. დავთარი შეიცავს ფასდაუდებელ ცნობებს საქართველოს ამ ნაწილის არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, არამედ მოსახლეობის რიცხოვნობის, განსაკუთრებით კი ეროვნული შემადგენლობის დასადგენად. დავთარმა, რომელიც 1595 წელს არის შედგენილი, ჩვენამდე სრული სახით მოაღწია და მას „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი

დავთარი“ ეწოდება. დავთარის აღმოჩენაში, გამოცემასა და მეცნიერულ შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აკადემიკოს ს. ჯიქიას“. [ვ.ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 16-17]

როგორც ცნობილია, ოსმალთა მიერ მესხეთის სამთავროს დაპყრობა მთლიანად 1578 წელს დასრულდა. მათ გააუქმეს ქართული სახელმწიფო ხელისუფლება და მესხეთს „გურჯისტანის ვილაიეთი“, ანუ „საქართველოს პროვინცია“ უწოდეს. ახალციხის საფაშო ოსმალებმა 24 თემად დაყვეს თითოეულ მათგანს თავიდან ქართული წარმოშობის, დიდგვაროვანი სანჯაყბეგები ჩაუყენეს სათავეში. (სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული მიმოხილვა, ვ. ლორთქიფანიძე, 2019)

„დავთარში“ მოცემულ 28 რაიონში 1160 სოფელი შედიოდა. აღნიშნულ დოკუმენტში იმდენად დაწვრილებითი ინფორმაციაა აღწერილი, რომ შესაძლებელია დახასიათდეს „გურჯისტანის ვილაიეთის“ მოსახლეობის როგორც რაოდენობა, ასევე ეროვნული შემადგენლობა. „დავთრის“ სიღრმისეულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის 95%-ზე მეტს ქართველები შეადგენდნენ. „დავთარი“ ასევე საშუალებას იძლევა გავარკვიოთ მოსახლეობის რელიგიური სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც ამ მხარის მოსახლების 97% ქრისტიანი იყო. ის, რომ ამ მხარის აბსოლუტური უმრავლესობა ქრისტიანია მხოლოდ „დავთრის“ საფუძველზე არ მტკიცდება, ამას ცხადყოფს ვახუშტი ბატონიშვილის ჩანაწერებიც: „*სარწმუნოებით გლეხნი ჯერეთ (არიან) ქრისტიანენი სრულიად... ჰყავთ მღუდელნი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული, და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამჭირნეობისთვის ოსმალთა*“[ვ.ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 18-19]. ამ ფრაზას თუ გავაანალიზებთ აშკარაა, რომ ვახუშტი უკვე საუბრობდა თურქული ენის ქართველ მოსახლეობაში დამკვირდების საკითხზე. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)(ა.თოთაძე, 1993)

რაც შეეხება მოსახლეობის რაოდენობას, მეცნიერებში აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება, თუმცა ყველა თანხმდება, რომ სამცხე საათაბაგოს მოსახლეობაში კლება შეინიშნება. 1160 სოფლიდან 368 სოფელი სრულად დაცარიელებულია. გაუკაცრიელებულია ახალდაბა, ქვიშხეთი, ყვიბისი, ლიკანი, წაღვერი, ბაკურიანი, ფაფა, კორტანეთი და სხვა მრავალი სოფელი. მხარის მოსახლეობისგან დაცლის უმთავრესი მიზეზი თურქთა ბატონობა უნდა ყოფილიყო. დემოგრაფისა და სტატისტიკოსის გ. გამყრელიძის გაანგარიშებით, „გურჯისტანის ვილაიეთში“ ამ პერიოდში 63 690 კაცი

ცხოვრობდა, ახალციხის ლივაში - 19675 კაცი, ხოლო ახალქალაქის ლივაში კი 5125 ადამიანი. აღნიშნული გაანგარიშება ეჭვს ბადებს მეცნიერთა გარკვეულ ნაწილში და მათ მთავარ არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ გაანგარიშებაში შეტანილი არ არის ისეთი ოჯახები, სადაც მარტო ქალები ცხოვრობდნენ, ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ „დავთარში“ კომლები წარმოდგენილია მხოლოდ ოჯახის უფროსი მამაკაცების სახელებით და მასში შეტანილი არ იყო უკაცო ოჯახები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ პერიოდში ზოგადად დამახასიათებელია მრავალრიცხოვანი ოჯახები და სავარაუდოა, რომ ოჯახის წევრების რაოდენობა საშუალოდ 5 ადამიანზე მეტი უნდა ყოფილიყო, მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ 1886 წელს ჯავახეთში კომლის საშუალო სიდიდე 8,6 კაცს უდრიდა. ყოველივე ამის გათვალისწინებითა და კომლთა რაოდენობის რვაზე გამრავლებით 1595 წელს სამცხე საათაბაგოს მოსახლეობა 101 864 კაცი უნდა ყოფილიყო, სამცხის მოსახლეობა - 31400, ხოლო ჯავახეთის კი 8344 კაცი. სამცხე-ჯავახეთის საერთო მოსახლეობამ კი 39744 კაცი შეადგინა. (ა.თოთაძე, 1993)(ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

ამ დროიდან XIX საუკუნემდე ოფიციალური და რეალური მონაცემები სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაზე აღარ არსებობს. ერთადერთ დასაყრდენს წარმოადგენს პროფესორ ვახტანგ ჯაოშვილის არაპირდაპირი გაანგარიშება. მან დაადგინა, რომ 1770 წელს სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობდა 34 000 კაცი. მოსახლეობის ამ რაოდენობიდან ჩანს, რომ თურქეთის ბატონობამ დიდი კვალი დატოვა მოსახლეობაზე და 2 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ამ მხარეს უაღრესად რთული პერიოდი გაუვლია. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

თავი II. სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარების მიმოხილვა XIX საუკუნეში

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის ამ მონაკვეთს თამამად შეიძლება დაერქვას „სამცხე-ჯავახეთი რუსეთის იმპერიაში“. პირველად 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად რუსეთის იმპერიის ფარგლებში შევიდა და პირობითად საქართველოს დაუბრუნდა ძველი მესხეთის ნაწილები: ქობლიანი, ოძრხე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყვერი, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჯარაქი, ფოცხოვი, აბოცი და ერუშეთი. 1877-78 წლების პარიზის ზავით, მუხლი 58-ის საფუძველზე შემოიერთეს მესხეთის მეორე ნაწილი: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ოლთისი. მთელი ეს მხარე რუსეთის იმპერიის დროს მოქცეული იყო შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში:

1. ახალციხის მაზრა (სამცხე) – 2 706 კმ^2 ;
2. ახალქალაქის მაზრა (ჯავახეთი) – 2793 კმ^2 ;
3. ბათუმის ოლქი (აჭარა, ქობულეთი, შავშეთი) – 3 779 კმ^2;
4. ყარსის ოლქი (ერუშეთი, ფოცხოვის უბანი, არტაანი, ოლთისი) –8 776 კმ^2;
5. ართვინის ოლქი - 3 339 კმ^2 (ვ. ნოზაძე, 1989)

სულ მესხეთის ტერიტორია უდრიდა 21 393 კმ^2-ს, რაც საქართველოს ფართობის მესამედზე მეტს შეადგენდა. ძველი მესხეთის ნაწილებიდან ოსმალეთის საზღვარებში დარჩა ჭანეთი ანუ ლაზისტანი და ზემო ჭოროხზე მდებარე ნაწილი. (ვ. ნოზაძე, 1989)

XIX საუკუნის დასაწყისში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ქართველები წარმოადგენდნენ, მაგრამ ქართველთა უმრავლესობა უკვე გამუსლიმებული იყო, თუმცა ისინი მშობლიურ ქართულ ენაზე მეტყველებდნენ. თურქების ბატონობისგან შექმნილი გაუსაძლისი პირობების მიუხედავად, სამცხე-ჯავახეთის ქართველი მართლმადიდებლებისა და კათოლიკების მცირე ნაწილმა დიდი გაჭირვებით შეძლეს ქრისტიანობისა და ქართველობის დაცვა, ენისა და ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება. თუმცა, ადგილობრივი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გადასახლდა - ფალიაშვილები, ყაუხჩიშვილები, გოკიელები, ზარდალაშვილები და სხვა. მიუხედავად თურქეთის მმართველობისა ამ

მხარეში ეროვნული შემადგენლობა მაინც არ შეცვლილა. მაგრამ, მას შემდეგ რაც რუსეთმა საქართველო და თავის მხრივ, სამცხე-ჯავახეთი შეიერთა, იგი ყველანაირი გზით ცდილობდა აქ რუსი მოსახლეობა ჩაესახლებინა. ამ მიზნის შესასრულებლად, იგი ყველანაირად ცდილობდა შეექმნა გაუსაძლისი პირობები მუსლიმი ქართველებისთვის, დაეტოვებინათ საკუთარი მიწა-წყალი და გადასახლებულიყვნენ თურქეთში. ჯავახეთისა და ახალციხის მაზრის მუსლიმმა ქართველებმა ძალდატანებით გაქრისტიანების შიშით, რელიგიური ფანატიზმის ფონზე, დაეხშოთ ეროვნული თვითშეგნება, დატოვეს საკუთარი ქვეყანა და ოსმალეთში ეძებდნენ თავშესაფარს. ამასთანავე, ისინი იძლებულნი გახდნენ ქართული გვარი გაეცვალათ თურქულზე, რადგანაც ქართველი მათ შეგნებაში ნიშნავდა ქრისტიანს. მუსლიმი ქართველი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთაც სამშობლოში დარჩენა ამჯობინეს თურქებად მონათლა. როგორც ჩანს, რუსეთის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა აქ ხელოვნურად შეექმნა ეროვნული და სარწმუნოებრივი სიჭრელე. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

სამცხე-ჯავახეთში რუსი მოსახლეობის დასახლების გეგმა ვერ განხორციელდა, სამაგიეროდ აქტიურად დაიწყეს აქ სომხების ჩამოსახლება. ჯერ კიდევ 1810 წელს იმპერატორმა დაამტკიცა დებულება „საქართველოში გადმოსახლებულთა შესახებ“, რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ნიკოლოზ პირველმა ხელსაყრელად მიიჩნია სომხების გადმოსახლება. 1829-1831 წლებში სამცხე-ჯავახეთში თურქეთიდან 25 000 სომეხი გადმოასახლეს. ეს გამოიწვია იმან, რომ 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომში თურქეთი დამარცხდა. ანდრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით ძველი ქართული ტერიტორიები - სამცხე და ჯავახეთი რუსეთს შეუერთდა, ზავის მიხედვით კი ის ტერიტორიები, სადაც სომხები სახლობდნენ თურქეთს დარჩა, სომხები კი ომის დროს რუსეთის მხარეს იჭერდნენ, თურქული მხარისგან სამაგიეროს გადახდის შიშით კი სომხები საქართველოში ჩამოსახლდნენ სამუდამოდ საცხოვრებლად. აკადემიკოსი პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ გადმოსახლების დროს ქურთებისგან გაძარცვულმა სომხებმა საქართველომდე უკიდურესად გაღატაკებულებმა მოაღწიეს. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

საქართველოში სომხების გადმოსახლების მასშტაბებს კარგად გვიჩვენებს XIX საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სომხების რაოდენობა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის დინამიკა ცალკეული წლების მიხედვით, რომელიც გაიანგარიშა პროფესორმა ვ. ჯაოშვილმა. თუ 1800 წელს საქართველოში 47 000 სომეხი ცხოვრობდა, 1832 წლისთვის მათმა რაოდენობამ საქართველოში 84 ათასს მიაღწია. ამავე პერიოდში კი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 37 ათასიდან 65 ათასამდე გაიზარდა, რაც 75%-იანი ზრდაა, მაშინ, როცა საქართველოს სხვა მხარეებში მხოლოდ 10%-იანი ზრდა შეინიშნებოდა. აქედან ქართველი მოსახლეობა გაიზარდა 9%-ით, ხოლო სომხური - 79%-ით. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

ცხრილი 2.1

სამცხე ჯავახეთის მოსახლეობა და სომხების რაოდენობა საქართველოში

წლები	**სომხების რაოდენობა საქართველოში (ათასებში)**	**სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა (ათასებში)**
1800	47,0	37,0
1832	84,0	65,0
1865	122,6	86,8
1886	172,9	122,6
1897	197,0	141,5

წყარო: სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს, ვაჟა ლორთქიფანიძე, 1994წ, გვ 34

ცხრილიდან ჩანს, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ზრდა პირდაპირპროპორციულია საქართველოში მცხოვრებ სომეხთა რაოდენობისა.

გასული საუკუნის მოსახლეობის კამერალური აღწერები საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ სამცხე-ჯავახეთის რაოდენობა და შემადგენლობა რიგი დემოგრაფიული ნიშნის მიხედვით. ამ მხრივ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი მონაცემები 1873, 1880, 1885, 1886 და 1897 წლებში მოიპოვება. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

1880 წელს სამცხე-ჯავახეთში, რუსი სექტანტების გამოკლებით, ძირითადად ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები და თათრები. მთლიანად ამ მხარეში 22 499 ქართველი და 49 590 სომეხი ცხოვრობდა. თუ ახალციხის მაზრაში ქართველები სჭარბობენ სომხებს, ახალქალაქის მაზრაში სიტუაციაა სხვაგვარადაა, სომხები გაცილებით მეტი რაოდენობით დასახლდნენ ახალქალაქის მაზრაში. აღსანიშნავია ისიც, რომ სომეხთა 78% ახალციხეში ცხოვრობდა, სოფლად მათი წილი უმნიშვნელო იყო. ახალციხის მაზრის სოფლებში ცხოვრობდა 173 000 ქართველი, რაც მთელი მოსახლეობის 55,5% იყო, მათ შორის 4337 მართლმადიდებელი და 12963 მუსლიმი ქართველი იყო (ვ.ლორთქიფანიძე, 1994).

ცხრილი 2.2

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1880 წელს

ეროვნება დასახლება	ქართველი	სომეხი	თათარი
ქალაქი ახალციხე	850	13137	-
ახალციხის მაზრის სოფლები	17300	1749	10133
მთლიანად ახალციხის მაზრა	18150	16886	10133
ქალაქი ახალქალაქი	747	2785	-
ახალქალაქის მაზრის სოფლები	3532	29919	6267
მთლიანად ახალქალაქის მაზრა	4279	32704	6267
სამცხე-ჯავახეთი	22429	49590	16400

წყარო: სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს, ვაჟა ლორთქიფანიძე, 1994წ, გვ 35

ამ პერიოდში მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში მამაკაცები სჭარბობდნენ ქალებს. სამცხე-ჯავახეთშიც მამაკაცების რიცხობრივი უპირატესობა აშკარაა. ახალციხის მაზრაში სოფლად 11%-ით მეტი მამაკაცი ცხოვრობდა, ვიდრე ქალი, ხოლო ახალქალაქის მაზრაში 10%-ით მეტი. ასეთი ვითარება მომდევნო წლებშიც შეინიშნება. 1886 წელს სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით შედგა ამიერკავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიები. ამ წელს მთლიანად სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 122590 კაცს

უდრიდა. ახალქალაქში - 4303 კაცი, ახალციხის მაზრის სოფლის მოსახლეობა 42675 კაცს შეადგენდა, ახალქალაქის მაზრა - 59496 კაცი. 1880-დან 1886 წლამდე სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში ქართველების რაოდენობა 22 ათასიდან 33 ათასამდე გაიზარდა. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

ცხრილი 2.3

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა 1886 წელს

	მთელი მოსახლეობა	ქართველი	სომეხი	თათარი
ქალაქი ახალციხე	16116	2730	10417	-
ახალციხის მაზრის სოფლები	42675	20455	4625	16114
მთლიანად ახალციხის მაზრა	58791	23175	15042	16114
ქალაქი ახალქალაქი	4303	45	4083	-
ახალქალაქის მაზრის სოფლები	59496	9771	42301	-
მთლიანად ახალქალაქის მაზრა	63799	9816	46384	-
სამცხე-ჯავახეთი	122590	33001	61426	16114

წყარო: სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს, ვაჟა ლორთქიფანიძე, 1994წ, გვ 37

ცხრილის გაანალიზებისას შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალციხის მაზრაში მოსახლეობის უმრავლესობას კვლავ ქართველები შეადგენენ და რაოდენობრივად უფრო მეტადაც სჭარბობენ, ვიდრე 1880 წელს.

ამავე საოჯახო სიების მიხედვით ახალქალაქის მაზრაში 3910, ხოლო ახალციხის მაზრაში 4781 მართლმადიდებელი იყო. დანარჩენი 24000 ქართველი სხვა რელიგიას - სომხურ-გრიგორიანულს, ისლამსა და კათოლიციზმს აღიარებდა. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერიამ უარყო ქართველ კათოლიკეთა ქართველობა და ისინი ქართულ

ენაზე მოლაპარაკე სომხებად შერაცხა. ამავე წლის 27 თებერვალს აკრძალა კათოლიკურ ეკლესიაში ქართულად წირვა-ლოცვა და ძალდატანებით სომხურით შეცვალა, ამას ემატებოდა ის, რომ სკოლებში სწავლება დაიწყეს რუსულ ენაზე. ამ გარემოებების გამო, მოსახლეობის შემდეგ აღწერებში ბევრი ქართველი სომეხად ან რელიგიური კუთვნილების მიხედვით სხვა ეროვნებად ჩაწერეს, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სურათი. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

1897 რუსეთის იმპერიაში და ავტომატურად საქართველოში ჩატარდა მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა. ამ აღწერის მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთში 141546 კაცი ცხოვრობდა, რაც 1886 წელთან შედარებით 19 ათასით მეტი იყო. ამ აღწერამ აჩვენა, რომ შეიცვალა მხარის ეროვნული შემადგენლობა, კერძოდ - შემცირდა ქართველების რაოდენობა და 6 ათასით გაიზარდა სომხების რიცხვი. ამ პერიოდში პირველად გამოჩნდა თურქი მოსახლეობა. 1897 წელს აქ 24 000 თურქია აღწერილი, რაც ამ დრომდე არც ერთ წყაროში არ ფიქსირდებოდა. ლოგიკურია კითხვის დასმა თუ საიდან გამოჩნდა ერთბაშად თურქთა ასეთი დიდი რიცხვი, პასუხი კი საკმაოდ მარტივია - ეს არის იმ ქართველთა რიცხვი, რომლებიც თურქულად საუბრობდნენ. 1897 წლის მოსახლეობის აღწერის პროგრამაში შეტანილი არ იყო კითხვა ეროვნების შესახებ, ეროვნება განისაზღვრებოდა სასაუბრო ენის მიხედვით, ამიტომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც თურქულმა მრავალწლიანმა მმართველობამ კვალი დატყო და მათი სასაუბრო ენა თურქული გახდა, აღიწერა როგორც ეროვნებით თურქი. შესაბამისად ქართველების რაოდენობამ 1886 წელთან შედარებით დაიკლო 14337 კაცით. 1892 და 1895 წლებში შედგენილი უწყისების მონაცემებით, ახალქალაქის მაზრაში ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები, რუსები, თათრები, ქურთები, ბერძნები, ებრაელები და პოლონელები. დაშვება იმისა, რომ შესაძლოა ერთმანეთში არეოდათ თათარი და თურქი მცდარი იქნება, რადგან 1886 წელს თათრების რაოდენობა 16 ათასს უდრიდა, ხოლო 1897 წელს 19 ათასს. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

ცხრილი 2.4

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა 1897 წელს

	მთელი მოსახლეობა	ქართველი	სომეხი	თათარი	თურქი
ქალაქი ახალციხე	15357	3578	9035	108	59
ახალციხის მაზრის სოფლები	53480	8635	6109	12262	24078
მთლიანად ახალციხის მაზრა	68837	12213	15144	12370	24137
ქალაქი ახალქალაქი	5440	129	4136	27	17
ახალქალაქის მაზრის სოფლები	67269	6322	48403	6545	279
მთლიანად ახალქალაქის მაზრა	72709	6451	52539	6572	296
სამცხე-ჯავახეთი	141546	18664	67683	18942	24433

წყარო: სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს, ვაჟა ლორთქიფანიძე, 1994წ, გვ 39

XIX საუკუნის სამცხე-ჯავახეთის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ მონაცემები ძირითადად 1875-1879 წლებში მოიპოვება. ამ პერიოდის მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით მეცნიერებმა შეისწავლეს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა. თბილისის გუბერნიაში 1870-იან წლებში 9 მაზრა შედიოდა, მათ შორის იყო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, იგივეა რაც სამცხე და ჯავახეთი. შობადობის დონე საშუალოდ 1875-1879 წლებში საკმაოდ მაღალია ახალქალაქში, იგი 58 პრომილეს უდრის. ეს მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთის სოფლის მოსახლეობის მაჩვენებელზე მაღალია. ეროვნებების მიხედვით შობადობის მაჩვენებელი არ განსხვავდება, მაგრამ ახალციხეში შობადობის მაჩვენებელი ქართველებში ორჯერ მეტია, ვიდრე სომხებში და უდრიდა 53,9 პრომილეს. რაც შეეხება

მოკვდაობის დონეს, იგი ახალქალაქში 37, ხოლო ახალციხეში 22 პრომილეს უდრიდა. ახალციხეში ქართულ მოსახლეობაში სიკვდილიანობის მაჩვენებელი აჭარბებდა შობადობის მაჩვენებელს. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

შობადობის დონის მიხედვით სამცხისა და ჯავახეთის სოფლის მოსახლეობა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ჯავახეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობის უმეტეს ნაწილს სომხები წარმოადგენდნეენ, შობადობის დონე კი გაცილებით მაღალი იყო სომხურ მოსახლეობაში, ვიდრე ქართველებში. 1875-1879 წლებში საშუალოდ წელიწადში ახალქალაქის მაზრაში შობადობის დონემ 46,1 პრომილე შეადგინა, ხოლო ახალციხის მაზრაში 28,3. თუ ახალქალაქის მაზრაში სომხებში ეს მაჩვენებელი 51,7 პრომილეს უდრიდა, ქართველებში ანალოგიური მაჩვენებელი 45,0 პრომილე იყო. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

ცხრილი 2.5

შობადობის მაჩვენებლები ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სოფლის მოსახლეობაში ეროვნების მიხედვით

	ახალციხის მაზრა				**ახალქალაქის მაზრა**			
	შობადობა (რიცხვებში)		შობადობა პრომილებში		შობადობა (რიცხვებში)		შობადობა პრომილებში	
	1879წ	საშალოდ 1875-1879წ	1879წ	საშალოდ 1875-1879წ	1879წ	საშალოდ 1875-1879წ	1879წ	საშალოდ 1875-1879წ
ქართველი (ჯამი)	581	543	33,6	31,4	159	137	45,0	38,8
მუსლიმი ქართველი	245	223	56,6	51,4	-	-	-	-
მართლმადიდებელი ქართველი	336	320	25,9	24,7	-	-	-	-
სომეხი	112	112	29,8	29,8	1547	1477	51,7	49,4
თათარი	272	229	26,8	22,5	226	218	36,1	34,8
მთელი მოსახლეობა	965	884	30,9	28,3	1932	1831	48,6	46,1

წყარო: სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს, ვაჟა ლორთქიფანიძე, 1994წ, გვ 49

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ახალციხის მაზრაში შობადობის დონე ქართველ მართლმადიდებელ მოსახლეობაში გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე მუსლიმ ქართველებში.

1875-79 წლებში ხუთი წლის მანძილზე ახალციხის მაზრაში 2503, ხოლო ახალქალაქის მაზრაში 6416 კაცი გარდაიცვალა. აღნიშნულ მაზრებში საშუალოდ ყოველწლიურად, შესაბამისად, 16,0 და 32,3 კაცი იღუპებოდა. მოკვდაობის დონე ახალქალაქის მაზრაში ორჯერ მეტია ახალციხის მაზრასთან შედარებით, ეს გამოწვეული იყო ახალქალაქის მაზრაში შობადობის მაღალი დონით, სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო მომსახურების ცუდი პირობებით.(ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

ცხრილი 2.6

სამცხე-ჯავახეთის სოფლის მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები 1875-1879 წლებში

წლები	**ახალციხის მაზრა**	**ახალქალაქის მაზრა**
1875	16,6	41,9
1876	13,7	22,7
1877	16,8	42,5
1878	18,1	29,2
1879	13,6	25,2
საშუალოდ 5 წელიწადში	16,1	32,3

წყარო: სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს, ვაჟა ლორთქიფანიძე, 1994წ, გვ 50

XIX საუკუნეში სამცხე-ჯავახეთისთვის დამახასიათებელია მოსახლეობის აღწარმოების ექსტენსიური ტიპი - შობადობისა და მოკვდაობის მაღალი და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის დაბალი დონე. განსაკუთრებით ბევრი იღუპებოდა დაბალ ასაკობრივ ჯგუფში, მაგალითად ახლაქალაქის მაზრაში 1875-79 წლებში გარდაცვლილთა 69,7% 10 წლამდე ასაკის იყო. ანალოგიური მაჩვენებელი ახალციხის მაზრაში 48,3%-ს უდრიდა. ეროვნებების მიხედვით განსხვავება 10 წლამდე ბავშვთა

მოკვდაობებს შორის საკმაოდ დიდია. გარდაცვლილ სომეხთა მთელი რაოდენობის 73,3% 10 წლამდე იყო, მაშინ, როცა ანალოგიური მაჩვენებელი ქართველებში 57,6% იყო (იხ. ცხრილი 1.5.3) ამდენად, სრულ ასაკოვნებას დაბადებულ ბავშვთა ნახევარიც კი ვერ აღწევდა, შესაბამისად სწრაფად მიმდინარეობდა თაობათა ცვლის პროცესი. ბავშვთა მაღალი მოკვდაობა უპირველესად გამოწვეული იყო სამედიცინო მომსახურებისა და ჰიგიენის უაღრესად დაბალი დონით. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

სამცხე-ჯავახეთში სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები ისეთი იყო, რომ ისინი უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის ბუნებრივ მატებას. ცალკეული ეროვნებების მიხედვით ბუნებრივი მატება ერთმანეთისგან განსხვავებულია. სომეხი მოსახლეობა ბუნებრივი მატების შედეგად ყოველწლიურად 510 კაცით იმატებდა, ხოლო ქართველები - 296 კაცით. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დასახასიათებლად საჭიროა ქორწინების საკითხების განხილვა. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ნაადრევ ქორწინებას. ახალქალაქის მაზრაში ქალები ძირითადად 20 წლამდე ასაკში ქორწინდებოდნენ. 1875-1879 წლებში 1988 დაქორწინებული ქალიდან 15 წლამდე 5%, ხოლო 15-20 წლების ასაკში 71,6% დაქორწინდა. მამაკაცები კი ძირითადად 20-25 წლის ასაკში ქმნიდნენ ოჯახს. განსხვავება შეინიშნება ეროვნების მიხედვით, თუ ქართველი მანდილოსნების 58,4% 25 წლამდე ასაკში დაქორწინდა, სომხურ მოსახლეობაში ეს მაჩვენებელი 82,9%-ს შეადგენს. ქორწინების დონე მნიშნელოვნად განსხვავდებოდა ასევე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, თუ ახალქალაქის მაზრაში მოსახლეობის ათას კაცზე 1875-1879 წლებში საშუალოდ წელიწადში 19 ქორწინება ხდებოდა, ეს მაჩვენებელი ახალციხის მაზრაში 8,1 პრომილეს უდრიდა, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. რაც შეეხება განქორწინებას, მის შესახებ მონაცემები არ არსებობს, რადგან განქორწინება, პრაქტიკულად, თითქმის არ ხდებოდა.(ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

თავი III. სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარების მიმოხილვა XX საუკუნეში

საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთის იმპერია მესხეთში ე.წ. „გამარუსებელ“ პოლიტიკას ახორციელებდა და სკოლებში სწავლების ენად შემოიღო რუსული და თურქული ენა, ქართული ენა კი სრულად განდევნა. ვინაიდან რუსული ენა ეჯავრებოდათ და მას დიდი გარემოცვაც არ ჰქონდა, თურქულმა ენა დაიწყო ბატონობა. ამის მიუხედავად, ქართული ელემენტი მესხეთში არასდროს წაშლილა. 1917 წლისთვის მესხეთის მოსახლეობის რიცხვმა 419 000 კაცი შეადგინა, რომელთა 64% ქართველი იყო. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ რუსეთის იმპერია დაემხო, რევოლუციამ კი სრულად ახალი ვითარება შექმნა და 1918 წლის 26 მაისს საქართველომ გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ბუნებრივია, თან მოჰყვა საზღვრების დადგენის საკითხი. საქართველო იმიჯნებოდა არამარტო რუსეთისგან, არამედ ოსმალეთისგან, სომხეთისგან და აზერბაიჯანისგან. პირველად შინაკავკასიური გამიჯვნის საკითხი წარმოსგდა კავკასიაში ერობის შემოღების გეგმასთან დაკავშრებით და ამ შემთხვევისთვის საჭირო გახდა რაიმე ერთიანი დებულების მიღება ტერიტორიების გასანაწილებლად. მაშინ არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა აღიარეს რეალური მოსახლეობის პრინციპი. ეს იმას ნიშნავდა, რომ საერობო ტერიტორიების შემოხაზვის დროს ყურადღება მიექცეოდა არა ეროვნულ-ისტორიულ და სხვა რომელიმე მოსაზრებას, არამედ მხოლოდ მოსახლეობის ეროვნების უმრავლესობას. მაგალითად, სადაც სომხობა იყო მეტი და ეს მხარე ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა, ამ პრინციპით იგი სომხურ ერობას უნდა მიკუთვნებოდა. ერობის შემოღებას ომმა მოუსწრო და კავკასიის ადმინისტრაციული საკითხი გაურკვეველი დარჩა. სახელმწიფოებრივი საზღრების დადგენისთვის კი ამ პერიოდში ყველას გაახსენდა ერობის შემოღების საკითხში რეალური მოსახლეობის პრინციპი. სახელმწიფოებრივი საზღვრები უნდა გატარებულიყო ეთნოგრაფიის თუ მოსახლეობის მიხედვით და მეტიც - რელიგიის მიხედვითაც, მუსლიმანობის საფუძველზე. (ვ. ნოზაძე, 1989)

სომხებმა გაამზადეს სომხეთის რუკა პარიზის საზავო კონფერენციისთვის წარსადგენად და ამ რუკაზე თბილისი, ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა, ახალქალაქის მაზრა, მცხეთა, გორი, ბათუმი და ბათუმის ოლქი აღნიშნული იყო როგორც სომხეთის ტერიტორიები. პარიზის საზავო კონფერენციისთვის არც აზერბაიჯანის მოთხოვნები გამოიყურებოდა ნაკლებმადიანად. მათ მიხედვით, აზერბაიჯანის ფარგელბში უნდა მოქცეულიყო: საინგილო(ზათაქალა), ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა და ბათუმის ოლქი.(ვ. ნოზაძე, 1989)

1918 წლის 12 აგვისტოს, საქართველოს მთავრობამ საკითხი გადაიტანა საერთაშორისო ასპარეზზე და მიმართა ყველა სახელმწიფოს მემორანდუმით, სადაც მოთხრობილია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორია და აღნიშნულია საქართელოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიული შემადგენლობა შემდეგი სახით: *„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია შედგება ამიერკავკასიის ყოფილ სამ გუბერნიისგან: თბილისის, ქუთაისის და ბათუმის და ორი ოლქისგან: „სოხუმისა და ზაქათალის. ეს ტერიტორია შეიცავს დაახლოებით 80 000 ოთხკუთხედ კილომეტრს და მასზე ცხოვრობს 3 100 000 სული. აქედან ბათუმის გუბერნია დაახლოებით 7000 ოთხკუთხედი კილომეტრი 200 000 მცხოვრებით დაჭერილი აქვს სრულიად უკანონოდ ოსმალეთის ჯარს, რომლის თანახმად პრეზიდენტ ვილსონის პროგრამისა დაუყოვნებლივ გაყვანილ უნდა იქნას იქიდან... როცა ოსმალეთ გაიყვანს თავის ჯარებს ყოფილი ყარსის გუბერნიისგანაც, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა გაიყოს შუაზე და აქედან დასავლეთ ნახევარი (არტაანისა და ოლთისის ოლქები) უნდა შეუერთდეს ეთნოგრაფიულად და ისტორიულად მონათესავე საქართველოს, ხოლო მეორე, აღმოსავლეთი ნახევარი (ყარსისა და ყაღიზმანის ოლქი) უნდა შეურთდეს სომხეთს“.* [ვ. ნოზაძე, 1989, გვ 35]

ამგვარად, იმის მიუხედავად, რომ მთელი მესხეთი ოსმალეთს ეპყრა, საქართველოს მთავრობა მოითხოვდა არამც თუ ბათუმის მხარის შემოერთებას, არამედ არდაგან-ოლთისის მხარის საქართველოს საზღვრებში მოქცევას, რაც იმას ნიშნავდა, რომ მოითხოვდა მთელ მესხეთს. ამის პარალელურად, ოსმალეთის გავლენები მცირე აზიაში შემცირდა და სწრაფი ნაბიჯებით ნგრევისკენ მიექანებოდა. 1918 წლის 18 ოქტომბერს ოსმალებმა გაანთავისუფლეს ბათუმის ზავით საქართელოსთვის

დატოვებული აწყური და აბასთუმანი, იზეტ ფაშა სტამბოლში საქართველოს დაპირდა, რომ თუ ოსმალეთი იძლებული გახდებოდა დაეტოვებინა სამი სანჯაყი (ბათუმი, არდაგანი, ყარსი), მაშინ იგი მზად იქნებოდა ამ ტერიტორიის ქართული ნაწილი დაეთმო საქართველოსთვის. 1919 წლის 19 ივნისამდე, სანამ ოსმალეთი სრულად დამარცხდებოდა, მან საქართველოს აცნობა, რომ იგი ტოვებს მის მიერ დაკავებულ ადგილებს. ასე დასრულდა იმ დროს ოსმალეთის კავკასიური პოლიტიკა, დასრულდა იმით, რომ მესხეთი საქართელოს დაუბრუნდა. (ვ. ნოზაძე, 1989)

ოსმალეთის გამოთიშვის შემდეგ, საქართველომ თავისი ჯარები შეიყვანა სამცხე-ჯავახეთში და 1918 წლის 5 დეკემბერს დაიკავა ახალქალაქი. ამავე დღეს სომხეთმა მოითხოვა, რომ არ შეეყვანა საქართველოს ჯარები ახალქალაქში, ამის საპასუხოდ საგარეო საქმეთა მინისტრმა, ევგენი გეგეჭკორმა, სომხურ მხარეს უპასუხა, რომ ახალქალქის მაზრის დაკავება არც ისტორიულად, არც პოლიტიკურად და არც მორალურად სადავო არ არის და საზღვრების დადგენის პრობლემის გადაჭრა კეთილგანწყობილად მოვილაპარაკოთო. საქართველოს მთავრობამ არაერთგზის მოითხოვა სამხრეთ საქართველოს კონფერენციის მოწვევა სადავო საკითხების გადასაჭრელად, ოღონდ სომხები შეეცადნენ იარაღით გადაეჭრათ საკითხი და ომის მუქარით მოითხოვეს საქართველოს დაეტოვებინა ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრა. ამრიგად დაიწყო ომი საქართველოსა და სომხეთს შორის, სომხეთმა კი ომი კავკასიაში მომავალი ინგლისის იმედად წამოიწყო. სომხური ფართო გეგმის მიზანი იყო თბილისის ხელში ჩაგდება და მესხეთის დაკავება, ამგვარად სომხეთს ბათუმის გავლით ზღვაზე ექნებოდა გასასვლელი. სომხების მოლოდინი, რომ ინგლისელები მათ მხარს დაუჭერდა არ გამართლდა, ინგლისელებმა მოითხოვეს მხოლოდ სადავო ტერიტორიების დაცლა, ხოლო რაც შეეხებოდა იმ ტერიტორიებს, რომლებიც ადრე ოსმალეთს ეკავა, აქ ინგლისის ჯარი უდნა შესულიყო პარიზის საზავო კონფერენციის გადაწყვეტილებამდე. საქართველოს მთავრობამ მიიღო ომის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება, მაგრამ მოითხოვა სტატუს ქვო ანტებელუმის აღდგენა, რაც ომამდე არსებული მდგომარეობის დამტკიცებას ნიშნავდა, მაგრამ სომხეთი ამას არ ეთანხმებოდა და ახალქალაქის მაზრის სომხეთისთვის გადაცემას მოითხოვდა, თუმცა უშედეგოდ. ამრიგად, სომხეთის ცდა მესხეთის დაპყრობის შესახებ წარუმატებლად

დასრულდა. სამაგიეროდ წარმატებით განხორციელდა რუსეთის ერთა ურთიერთ გადაკიდების მიზანი - სწორედ ჯავახეთისთვის (იგივე ახალქალაქის მაზრა) დავაში იჩინა თავი იმ პოლიტიკამ, რომელიც გენერალმა პასკევიჩმა აქ სომხების ჩამოსახლებით გაატარა. (ვ. ნოზაძე, 1989)

მეოცე საუკუნეში საქართველოში და მათ შორის სამცხე-ჯავახეთშიც მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ექვსჯერ ჩატარდა (1926, 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლებში). ამ პერიოდის პირველი საყოველთაო აღწერა 1926 წელს ჩატარდა, თუმცა მანამდე 1917 წელს მოეწყო სასოფლო-სამეურნეო და საადგილ-მამულო აღწერა, ხოლო 1922 წელს საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერა. 1917 წლის აღწერის მიხედვით სამცხის სოფლის მოსახლეობა 66813 კაცს უდრიდა, ხოლო ჯავახეთის სოფლის მოსახლეობა 160254 კაცი იყო. თუ ჯავახეთში მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ, (მთელი მოსახლეობის 73,4%) სამცხეში ოსმალო-თათრები სჭარბობდნენ(74,6%). ქართველების რაოდენობა სამცხეში კი მხოლოდ 13,6% იყო, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ მუსლიმი ქართველები ოსმალო-თათრებად აღწერეს. ამის შესახებ აღწერის მასალებში პირდაპირ არის მითითებული: *„თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ქართველი მაჰმადიანები ჩარიცხულ არიან თათრებთან და ოსმალოებთან ერთად“.* 1922 წლის საქართველოს ქალაქის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ახალციხეში 10153, ხოლო ახალქალაქში - 2737 კაცი ცხოვრობდა. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

1926 წლის მოსახლეობის აღწერით, სამცხე-ჯავახეთში 175910 კაცი ცხოვრობდა, რაც საქართველოს მთელი მოსახლეობის 6,6 პროცენტს უდრიდა. რაც შეეხება ეროვნულ შემადგენლობას, მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ 41,7%-ით. მათი უმეტესობა 57,8 ათასი კაცი ჯავახეთში, ხოლო 15,6 ათასი სამცხეში ცხოვრობდა. ამავე წლის აღწერის მიხედვით თათარი და ოსმალო მოსახლეობა გაერთიანებულია თურქ ეროვნებაში და მათმა რაოდენობამ 56110 კაცი შეადგინა. თურქების 87,6% სამცხეში ცხოვრობდნენ. აქედან თარაქამების რაოდენობა 4628 კაცს შეადგენდა. ქართველების რაოდენობა 32 ათასი იყო, რომელთაც მესამე ადგილი ეკავათ რაოდენობის მხრივ, რომელთა უმეტესობა (24 ათასი) სამცხეში ცხოვრობდა.

ცხრილი 3.1

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა 1926 წელს

	სამცხე		ჯავახეთი		სამცხე-ჯავახეთი	
	აბსულუტურ რიცხვებში	%	აბსულუტურ რიცხვებში	%	აბსულუტურ რიცხვებში	%
ქართველი	24353	26,1	7565	9,6	31918	18,1
სომეხი	15665	16,1	57791	73,2	73356	41,7
თურქი	49170	87,6	6940	8,8	56110	31,9
რუსი	1678	1,7	2492	3,1	4170	2,4
უკრაინელი	1045	1,0	2679	3,4	3724	2,1
სხვა	5162	5,3	1470	1,9	6632	3,8
ჯამი	96973	100	78937	100	175910	100

წყარო: წყარო: სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს, ვაჟა ლორთქიფანიძე, 1994წ, გვ 58

1939 წლის საყოველთაო აღწერის დროს ტერიტორიის ადმინისტრაციული სამაზრო დაყოფა გაუქმებული იყო. სამცხეში ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის, ხოლო ჯავახეთში - ახალქალაქისა და ნინოწმინდის (ყოფილი ბოგდანოვკის) რაიონები შედიოდა. იმის გამო, რომ მუსლიმი ქართველების სათითაოდ ყველა აზერბაიჯანელად ჩაწერეს, ქართველების რაოდენობა ხელოვნურად 9166 კაცით შემცირდა. თუ 1926 წლის აღწერით სამცხე-ჯავახეთში 31918 ქართველი აღიწერა, 1939 წელს მხოლოდ 22752 ქართველი აღირიცხა. სამაგიეროდ, ამავე პერიოდში თურქების რაოდენობა (აზერბაიჯანელები) 56 ათასიდან 88 ათასამდე გაიზარდა. ამ აღწერის მიხედვით სამცხეში ყველას თურქები (აზერბაიჯანელები) სჭარბობდნენ. პირველი სამი ადგილი შესაბამისად თურქებს, სომხებსა და ქართველებს ეკავათ. (ვ.ლორთქიფანიძე, 1994)

ცხრილი 3.2

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა 1939 წელს

	ქართველი		სომეხი		აზერბაიჯა-ნელი		რუსი		ქურთი		ჯამი	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს	%	აბს	%	**აბს.**	**%**
ახალციხე	5836	10,5	16454	29,6	28428	51,2	1538	2,8	1423	2,6	**55490**	**100**
ადიგენი	5466	13,2	942	2,3	32928	79,7	1281	3,1	69	0,2	**41314**	**100**
ასპინძა	6500	13,9	1741	5,3	21612	66,2	293	0,9	1980	6,1	**32644**	**100**
სამცხე	17802	13,8	19137	14,8	82963	64,1	3112	2,4	3472	2,7	**129448**	**100**
ახალქალაქი	4875	7,5	54081	83,6	4015	6,2	1102	1,7	309	0,5	**65655**	**100**
ნინოწმინდა	93	3,3	27376	79,2	1009	2,9	5862	14,0	77	0,2	**34575**	**100**
ჯავახეთი	4950	5,0	81457	82,1	5024	5,1	6964	7,0	386	0,4	**99230**	**100**
სამცხე-ჯავახეთი	**22752**	**9,9**	**100594**	**44,0**	**87987**	**38,5**	**10076**	**4,4**	**3858**	**1,7**	**228678**	**100**

წყარო: წყარო: წყარო: სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს, ვაჟა ლორთქიფანიძე, 1994წ, გვ 60

1944 წელს გადასხლებული მუსლიმი მოსახლეობის შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია არსებობს. განსახლებულთა ზუსტი რიცხვი დადგენილი არ არის, მაგრამ სხვადასხვა წყაროს მიხედვით მათ საერთო რაოდენობას 100-120 ათასის ფარგლებში ვარაუდობენ, რასაც მეცნიერთა გარკვეული ნაწილი არ ეთანხმება. მათი გაანგარიშებით, სამცხე-ჯავახეთიდან არ შეიძლებოდა 90 ათასზე მეტი გადაესახლებინათ, რადგან 1939 წელს მთლიანად სამცხე-ჯავახეთში 87987 თურქი(აზერბაიჯანელი) და 3858 ქურთი აღირიცხა. თურქებისა და ქურთების ამ საერთო რაოდენობიდან 1944 წლისთვის დაახლოებით 5-6 ათასი კაცი ომში იმყოფებოდა. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

ომის შემდგომ პერიოდში სამცხეში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ძირითადად კი იმერეთიდან და აჭარიდან, ჩაასახლეს ქართული მოსახლეობა. ამის შედეგად, მოსახლეობის საერთო რაოდენობაში გაიზარდა ქართველი მოსახლეობის წილი და ამ მაჩვენებელმა 1959 წელს 54,3% შეადგინა. რაც შეეხება ჯავახეთს, ეს კუთხე

ისევ მონოეროვნულ რეგიონად დარჩა, აქ სომხების რაოდენობა მთელი მოსახლეობის 88,7 % იყო, ქართველების კი - 3,8%, რუსების - 6,6%. რუსების უმრავლესობა ნინოწმინდის რაიონში ცხოვრობდნენ, ხოლო თავის მხრივ, ნინოწმინდა ერთადერთი რაიონია, სადაც ქართველები საერთოდ არ ცხოვრობენ. ასევე მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ ქართველები ახალქალაქის რაიონში (5,7%). სამაგიეროდ, ადიგენისა და ასპინძის რაიონების მთელი მოსახლეობის 80%-ზე მეტს ქართველები შეადგენდნენ, ხოლო ახალციხის რაიონში ქართველების წილი 37,4%-ს შეადგენდა. მთლიანად სამცხე-ჯავახეთში 1959 წლიდან მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები და სომხები შეადგენდნენ. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

მოსახლეობის შემდეგი აღწერების მიხედვით სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ 1970 წლისთვის ამ რეგიონში საგრძნობლად გაიზარდა როგორც ქართველების, ისე სომხების რაოდენობა. ქართველებმა რაოდენობრივად ძირითადად სამცხეში მოიმატეს, ხოლო სომხებმა - მხოლოდ ჯავახეთში. 1970 წელს სამცხესა და ჯავახეთში შესაბამისად 84,6 ათასი და 107,2 ათასი კაცი ცხოვრობდა, რაც 1959 წელთან შედარებით 3,4 ათასით და 12,2 ათასით მეტი იყო(ვ. ლორთქიფანიძე, 1998). (1970, 1979 და 1989 წლების მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ იხილეთ ცხრილი 3.3)

ცხრილი 3.3

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა 1970, 1979 და 1989 წლებში

	ქართველი		სომეხი		რუსი		მთელი მოსახლეობა	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
1970 წ								
ახალციხე	21436	41,3	25497	49,1	2849	5,5	51907	100,0
ადიგენი	17582	86,7	1466	7,2	676	3,3	20272	100,0

ასპინძა	9929	79,5	2421	19,4	95	0,8	12494	100,0
სამცხე	48947	57,8	29384	34,7	3620	4,3	94673	100,0
ახალქალაქი	3926	5,6	63954	91,4	1297	1,9	69992	100,0
ნინოწმინდა	321	0,9	32399	86,9	4344	11,7	37267	100,0
ჯავახეთი	4257	4,0	96353	89,8	5641	5,3	107259	100,0
სამცხე-ჯავახეთი	53204	27,7	125737	65,5	9261	4,8	191932	100,0
1979 წ								
ახალციხე	21702	43,1	24035	47,7	2910	5,8	50350	100,0
ადიგენი	18007	90,1	1263	6,3	424	2,1	19975	100,0
ასპინძა	9651	77,8	2654	21,4	56	0,5	12411	100,0
სამცხე	49360	59,7	27952	33,8	3390	4,1	82736	100,0
ახალქალაქი	3067	4,4	63692	91,7	1788	2,6	69455	100,0
ნინოწმინდა	370	1,0	32231	88,0	3330	10,5	36621	100,0
ჯავახეთი	3437	3,2	95923	90,4	5618	5,3	106087	100,0
სამცხე-ჯავახეთი	52797	28,0	123875	65,6	9008	4,8	188823	100,0
1989 წ								
ახალციხე	25648	46,8	23469	42,8	3426	6,2	54822	100,0
ადიგენი	19491	91,6	1237	5,8	294	1,4	21282	100,0
ასპინძა	10753	80,1	2565	19,6	45	0,3	13432	100,0
სამცხე	55892	62,4	27271	30,5	3765	4,2	89536	100,0
ახალქალაქი	3005	4,3	63092	91,3	1737	2,5	69108	100,0
ნინოწმინდა	454	1,2	33962	89,6	3163	8,3	37895	100,0
ჯავახეთი	3459	3,2	97056	90,7	4898	4,6	107003	100,0
სამცხე-ჯავახეთი	59351	30,2	124327	63,2	8663	4,4	196539	100,0

წყარო: ვ. ლორთქიფანიძე, ისტორიული მესხეთი, გვ 167

ქართველი მოსახლეობის გამრავლების პრობლემები მეტად გამწვავებულია ჯავახეთში. აქ წლიდან წლამდე მცირდება ქართული სოფლების მოსახლეობის რაოდენობა. 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ჯავახეთში 3459 ქართველი ცხოვრობდა, 1926 წელს კი 7565 კაცს უდრიდა. 1989 წლის აღწერის მიხედვით სამცხე-ჯავახეთში 215 სოფელია. ამ სოფლებიდან 105 სოფელი მთლიანად ქართულია, 97 - სომხური, 6 - რუსული, ხოლო 7 - შერეული. ქართული სოფლები ძირითადად სამცხეში მდებარეობენ, ჯავახეთში მხოლოდ 6 სოფელია ქართული და ისიც ახალქალაქის რაიონში. ამ პერიოდში დაიწყო აღორძინება სოფელმა აზმანამ, სადაც 1989 წელს აჭარაში სტიქიის შედეგად დაზარალებული ჩამოსახლებული მოსახლეობა ცხოვრობს.(ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

ახალქალაქის რაიონში ქართული მოსახლეობის კლების შედეგად ქართულ სკოლებში უაღრესად შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობა. სოფელ ჩუნჩხის სკოლაში ამ პერიოდში 6 ბავშვი სწავლობდა, ხოლო სოფელ პტენის სკოლაში - 8 მოსწავლე. ასე შეიქმნა სკოლების დახურვის საშიშროება, რაც გამოიწვევდა ისედაც დაცარიელების პირას მისული ქართული სოფლების გაქრობას. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

დემოგრაფიული პროცესების განვითარება მეოცე საუკუნის საქართველოში ახალ ფაზაში შევიდა. ამ ფაზისთვის დამახასიათებელია მოსახლეობის აღწარმოების ახალი ტიპი, რაც დაბალი შობადობის პირობებში მოკვდაობის შემცირებისა და მაღალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შედეგად უზრუნველყოფს მოსახლეობის რაციონალურ აღწარმოებას. ამავე დროს, ქვეყანაში საგრძნობლად შენელდა მოსახლეობის ზრდის ტემპი, რაც გამოიწვია შობადობის დონის მნიშნელოვანმა შემცირებამ. თუ 1960 წელს რესპუბლიკაში მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე ბუნებრივი მატება 18,2 კაცს შეადგენდა, 1991 წელს ეს მაჩვენებელი 8,3, ხოლო 1997 წელს 3,2 პრომილეს უდრიდა. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნის ანალოგიური მაჩვენებლებისგან. შობადობა აქ ჯერ კიდევ მაღალი იყო და მოსახლეობის ბუნებრივი მატების დონე თითქმის ორჯერ აჭარბებდა ქვეყნის მაჩვენებელს.

ცხრილი 3.4

შობადობისა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები სამცხე-ჯავახეთში

(მოსახლეობის ათას კაცზე)

რაიონები	**შობადობა**					**მოკვდაობა**				
	1970წ	**1980წ**	**1985წ**	**1991წ**	**1997წ**	**1970წ**	**1980წ**	**1985წ**	**1991წ**	**1997წ**
ახალციხის	18,7	19,4	22,1	16,9	12,1	6,7	8,2	8,0	8,4	7,8
ასპინძის	23,7	21,5	26,5	21,4	15,8	7,2	8,0	8,1	6,5	7,1
ადიგენის	18,7	21,1	27,	22,8	17,8	6,5	7,2	9,5	7,7	7,6
ახალქალაქის	23,7	24,9	27,5	20,7	6,1	5,0	7,0	6,7	5,6	2,2
ნინოწმინდის	21,8	25,3	29,9	24,8	11,6	5,3	6,7	7,8	7,1	4,4
საქართველო	19,2	17,7	18,7	17,4	10,7	7,3	8,6	8,8	9,1	7,5

წყარო: ვ. ლორთქიფანიძე, ისტორიული მესხეთი, გვ 171

ცხრილი 3.5

ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტები სამცხე-ჯავახეთში

(მოსახლეობის ათას კაცზე)

რაიონები	1970წ	1980წ	1985წ	1991წ	1997წ
ახალციხის	12,0	11,2	14,1	8,5	4,3
ასპინძის	16,5	13,5	18,4	17,6	8,7
ადიგენის	12,3	13,9	17,5	15,1	10,2
ახალქალაქის	18,7	17,9	20,8	15,1	3,9
ნინოწმინდის	16,5	18,6	22,0	17,7	7,2
საქართველო	11,9	9,1	9,9	8,3	3,2

წყარო: ვ. ლორთქიფანიძე, ისტორიული მესხეთი, გვ 171

როგორც ცხრილებიდან(3.4 და 3.5) ჩანს, შობადობის დონე სამცხე-ჯავახეთის რაიონებში უკანასკნელი 20 წლის მანძილზე თითქმის არ შემცირებულა და ქვეყნის

საშუალო მაჩვენებელს იგი 1991 წელს ბევრად აღემატებოდა. 1997 წელს სამცხე-ჯავახეთის რაიონებში დაბალია მოკვდაობის დონეც. ყოველივე ეს განაპირობებს ბუნებრივი მატების მაღალ დონეს. მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები ბევრად უკეთესია სომხებში, ვიდრე ქართველებში. ამას სამცხისა და ჯავახეთის შესაბამისი მაჩვენებლებიც ადასტურებს. ჯავახეთში, სადაც ძირითადად სომხები ცხოვრობენ, მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1,4-ჯერ აღემატება სამცხის შესაბამის მაჩვენებელს. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

ცხრილი 3.6

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები სამცხე-ჯავახეთში (მოსახლეობის ათას კაცზე)

	შობადობა		მოკვდაობა		ბუნებრივი მატება	
	1991წ	1997წ	1991წ	1997წ	1991წ	1997წ
სამცხე	17,4	14,1	7,9	7,7	11,5	6,4
ჯავახეთი	22,1	8,0	6,1	2,9	16,0	5,1
სამცხე-ჯავახეთი	20,9	10,8	6,9	5,1	14,0	5,7

წყარო: ვ. ლორთქიფანიძე, ისტორიული მესხეთი, გვ 172

შობადობის დონეს შედარებით ზუსტად ახასიათებს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ საშუალოდ რამდენ ბავშვს გააჩენს ერთი ქალი ნაყოფიერების ასაკში თუკი შენარჩუნებული იქნება შობადობის ის ასაკობრივი კოეფიციენტები, რაც იყო გაანგარიშების პერიოდში. დემოგრაფიულ ლიტერატურაში ასეთ ასაკად მიჩნეულია 15-50 წლები. ჯამობრივი კოეფიციენტი მაღალია, როდესაც ის 4,0-ზე მეტია და დაბალია, როდესაც 2,15-ზე ნაკლებია. სამცხე-ჯავახეთის რაიონებში და განსაკუთრებით ჯავახეთში ეს მაჩვენებელი უახლოვდება მაღალ დონეს. თუ 1989 წელს საქართველოში 50 წლამდე ასაკის ყოველ ქალზე 2136 ბავშვი მოდიოდა, ანუ 2,1 ბავშვი ერთ ქალზე, სამცხე-ჯავახეთის რაიონებში, განსაკუთრებით კი ჯავახეთში ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია. კერძოდ, ახალქალაქის რაიონში ერთ ქალზე 2,8

ბავშვი, ხოლო ნინოწმინდის რაიონში 2,9 ბავშვი მოდის. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ამ კუთხეში აღნიშნული პერიოდისთვის უზრუნველყოფილი იყო მოსახლეობის გაფართოებული აღწაერმოება, მაშინ, როცა მთლიანად ქვეყანაში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის საჭირო დონესაც ვერ აღწევდა. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

სამცხე-ჯავახეთში ასევე მაღალია შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები, განსაკუთრებით 20-24 და 25-29 წლების ასაკობრივ ჯგუფებში. ამრიგად, ოჯახის ფორმირება სულ უფრო მეტად მთავრდება 30 წლამდე ასაკის ქალებში. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

ცხრილი 3.7

შობადობის ასაკობრივი და ჯამობრივი კოეფიციენტები სამცხე-ჯავახეთის რაიონებში 1989 წელს

(შესაბამისი ასაკის ყოველ ათას ქალზე)

	15-49 წლის ასაკობრივი		მათ შორის						შ.ჯ.კ.
		20 წლამდე	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	
ადიგენი	59,6	50,0	186,2	93,6	46,8	20,7	8,5	1,1	2,034
ასპინძა	106,4	78,5	260,8	170,7	72,7	27,1	22,3	-	3,160
ახალციხე	76,9	62,3	214,1	126,5	54,8	17,6	2,7	0,7	2,393
ახალქალაქი	98,7	88,1	257,1	128,5	60,7	19,4	3,3	0,6	2,789
ნინოწმინდა	105,5	102,1	264,3	137,4	63,3	20,5	2,7	1,2	2,959

წყარო: ვ. ლორთქიფანიძე, ისტორიული მესხეთი, გვ 173[2]

შობადობის სრულყოფილი ანალიზისთის საჭიროა განისაზღვროს სხვადასხვა ასაკის დედების მიერ დაბადებულთა ხვედრითი წილი. ამ ნიშნის მიხედვით შობადობის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკვლევ რეგიონში გაიზარდა ბავშვთა

[2] ცხრილში 1.9.4 აბრევიატურა შ.ჯ.კ გულისხმობს შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტს

შიდაოჯახური რეგულირება, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ 1991 წელს სამცხე-ჯავახეთში დაბადებულ ბავშვთა 85%-ზე მეტი 30 წლამდე ასაკის ქალებზე მოდის. გაახალგაზრდავებულია შობადობის პროცესი - ბავშებს უმეტესად ახალგაზრდა ასაკის ქალები აჩენენ, დაბადებულთა მაქსიმალური რაოდენობა 20-24 წლის ქალებზე მოდის. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

დაბადებულ ბავშვთა ნაწილი უმეტესად 1 წლამდე ასაკში იღუპება. საერთოდ მოკვდაობა სიცოცხლის პირველ წელს გაცილებით სჭარბობს სხვა ასაკობრივ ჯგუფებში მოკვდაობას, გარდა ხანდაზმულობის ასაკისა. იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს ჯანმრთელობის მდგომარეობას ქვეყანაში. ჩვილთა მოკვდაობის შემცირება ხელს უწყობს მოსახლეობის გამრავლებას. ამიტომ, ყველა ქვეყანაში განსაკუთრებით ზრუნავენ ერთ წლამდე ბავშვთა მოკვდაობის შესამცირებლად. სამცხე-ჯავახეთში მეოცე საუკუნის 80-იან წლებში ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებელი საგრძნობლად მაღალი იყო, ვიდრე ქვეყანაში. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

ცხრილი 3.8

ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი სამცხე-ჯავახეთის რაიონებში

(ერთ წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა ათას დაბადებულზე)

	1981წ	1989წ	1991წ	1997წ
ახალციხე	35,1	22,0	10,9	22,5
ასპინძა	42,8	22,7	8,9	4,5
ადიგენი	51,7	11,4	12,4	7,7
ახალქალაქი	31,2	17,0	11,8	0
ნინოწმინდა	34,3	14,1	5,6	9,6
საქართველო	29,7	19,6	12,7	15,3

წყარო: ვ. ლორთქიფანიძე, ისტორიული მესხეთი, გვ 175

მოსახლეობის სქესის მიხედვით შეფარდება ქმნის სქესობრივ სტრუქტურას, იგი მოსახლეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. სქესობრივი სტრუქტურა ყალიბდება დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორის გავლენით. დემოგრაფიულ ფაქტორებს მიეკუთვნება დაბადებულთა შორის ვაჟებისა და გოგონების თანაფარდობა, მამაკაცების და ქალების მოკვდაობის დონეში განსხვავება და მიგრაცია, ხოლო სოციალურ ფაქტორებს - ქალების მდგომარეობა საზოგადოებაში, დასაქმების დონე, ომები და სხვა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ასაკობრივი სტრუქტურაც. იგი დამოკიდებულია შობადობისა და მოკვდაობის დინამიკაზე. სამცხე-ჯავახეთის მთელ მოსახლეობაში 5 წლამდე და 5-10 წლამდე ასაკობრივი ჯგუფების მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად მაღალია დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით. მთლიანად ამ კუთხის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა მოსახლეობის აღწერების მონაცემების მიხედვით საკმაოდ ხელსაყრელი იყო მოსახლეობის გამრავლებისთვის, როგორც რაოდენობრივი, ისე მისი შემადგენლობის თვალსაზრისით. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა ყოველთვის განსხვავდებოდა ქვეყნის საშუალო მაჩვენებლისგან, რაც განპირობებული იყო ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის თავისებურებებით. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998) (იხილეთ დანართი N1, N2 და N3 - სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა - 1926 წლისთვის).

1926 წელს მამაკაცები მნიშნელოვნად სჭარბობდნენ ქალებს, განსაკუთრებით სამცხეში. თუ მთლიანად საკვლევ რეგიონში 6,6 ათასით მეტი მამაკაცი ცხოვრობდა, ვიდრე ქალი, რაც 3,8% სხვაობას წარმოადგენს, სამცხეში მამაკაცების რაოდენობა 4,8%-ით მეტი იყო. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998).

1926 წლისთვის მოსახლეობის დაბალი ასაკობრივი ჯგუფების წილი მთელს მოსახლეობაში საგრძნობლად მაღალი იყო. მაგალითად, 10 წლამდე ასაკის ბავშების წილი სამცხე-ჯავახეთის მთელი მოსახლეობის 32,2 პროცენტს უდრიდა. 20 წლამდე ასაკის მოსახლეობა კი 50,9 პროცენტს შეადგენდა. სამაგიეროდ მცირეა მაღალი ასაკობრივი ჯგუფების მოსახლეობის წილი მთელს მოსახლეობაში. 50 წელს

გადაცილებული ასაკობრივი ჯგუფები მთელი მოსახლეობის 13,3 პროცენტს შეადგენდა. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

შემდგომ წლებში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა იცვლება, თუმცა დაბალი ასაკობრივი ჯგუფების წილი მთელს მოსახლეობაში ისევ მაღალი რჩება, განსაკუთრებით ჯავახეთში. მაგალითად, 1970 წელს 20 წლამდე ასაკის მოსახლეობა ახალქალაქის რაიონის მთელი მოსახლეობის 50,8 პროცენტს უდრიდა, ხოლო 1979 წელს 43,4%-ს. ამ მხრივ შესამჩნევი ცვლილებები მოხდა მომდევნო 10 წელში. 1989 წელს სამცხე-ჯავახეთში დაბალი ასაკობრივი ჯგუფების რიცხვი მთელს მოსახლეობაში საგრძნობლად არის შემცირებული, თუმცა მაინც მაღალია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით უკვე ქალები სჭარბობენ მამაკაცებს. სამცხე-ჯავახეთში ამ წელს თითქმის 3 ათასით მეტი ქალი ცხოვრობს, ვიდრე მამაკაცი. აღსანიშნავია ისიც, რომ 40-49 წლამდე ყველა ასაკობრივ ჯგუფში მამაკაცები რაოდენობრივად მეტნი არიან ქალებზე, შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში კი ქალები მნიშვნელოვნად სჭარბობენ მამაკაცებს. თუ 1926 წელს სამცხე-ჯავახეთში ყოველ ათას ქალზე 1078 მამაკაცი მოდიოდა, 1989 წელს ამ მაჩვენებელმა 970 მამაკაცი შეადგინა. 1989 წლისთვის 10 წლამდე ბავშვების წილი სამცხე-ჯავახეთის მთელს მოსახლეობაში 20,2 პროცენტს შეადგენდა და 1926 წელთან შედარებით იგი 12 პროცენტული პუნქტით შემცირდა. სამაგიეროდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მაღალი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის წილი. მაგალითად, 1989 წელს 50 წელზე უფროსი მოსახლეობის წილი 1926 წელთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზარდა. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

თუ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს გავითვალისწინებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ პერიოდისთვის მოსახლეობის სქესობრივი და ასაკობრივი შემადგენლობა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და აღწარმოების თვალსაზრისით სამცხე-ჯავახეთში გაცილებით უკეთესია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში. ამ მხრივ გამრავლების განსაკუთრებით კარგი პირობებია ჯავახეთში, სადაც მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტს სომხები შეადგენენ.

ასაკობრივი პარამეტრების დასახასიათებლად და შედარებით ანალიზის ჩასატარებლად ანგარიშობენ მოსახლეობის საშუალო, მედიანურ და მოდალურ ასაკს.

აღნიშნულ საშუალო სიდიდეებზე უპირველეს ყოვლისა გავლენას ახდენს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, მაგალითად, თუ გაანგარიშების წინა წლებში ბევრი ბავშვი დაიბადა, მაშინ საშუალო ასაკი დაბალია, თუ ცოტა - მაღალი. იგივე ითქმის მედიანურ და მოდალურ საშუალო სიდიდებზე. მედიანური ასაკი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის განმაზოგადებელი მახასიათებელია. იგი მთელს მოსახლეობას ორ თანაბარ - ერთს უფრო ახალგაზრდა, ხოლო მეორე მასზე უფროს ნაწილებად ჰყოფს. მოდალური კი გვიჩვენებს იმ ასაკს, რომელიც ყველაზე ხშირად მეორდება. სამცხე-ჯავახეთის რაიონებს შორის საშუალო და მედიანური ასაკი ყველაზე დაბალია ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონების მოსახლეობაში. მოცემულ რაიონებში ძირითადად სომხები ცხოვრობენ, რომელთა შორის შობადობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე სამცხეში მცხოვრებ ქართველებში. ამასთან, აღნიშნული საშუალო სიდიდეები მამაკაცებში შესამჩნევად დაბალია, ვიდრე ქალებში, რაც ძირითადად იმითაა განპირობებული, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით გაცილებით ხანგრძლივად ცხოვრობენ.

სამცხე-ჯავახეთში ამ პერიოდიდან იზრდება ხანდაზმულ ადამიანთა ხვედრითი წილი, ე.ი. მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერების პროცესი. დემოგრაფიული დაბერების დროს იცვლება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა. ეს პროცესი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და, უმეტესწილად, შობადობის ფაქტორის გავლენით მიმდინარეობს. შობადობის შემცირება ახალგაზრდა ასაკში ადამიანის რაოდენობის შემცირებასაც იწვევს და ცხადია სხვა თანაბარ პირობებში იზრდება მაღალი ასაკობრივი ჯგუფის ადამიანთა წილი მთელს მოსახლეობაში.

ცხრილი 3.9

სამცხე-ჯავახეთის რაოდენობის მოსახლეობის საშუალო და მედიანური ასაკი 1989 წელს

	საშუალო ასაკი			მედიანური ასაკი		
	მთელი მოსახლეობა	მათ შორის		მთელი მოსახლეობა	მათ შორის	
		მამაკაცი	ქალი		მამაკაცი	ქალი
ადიგენი	32,0	31,2	33,8	29,0	28,7	31,0
ასპინძა	32,5	30,8	34,0	28,5	27,3	30,1
ახალციხე	33,0	30,9	35,1	29,7	27,2	32,4
ახლაქალაქი	30,2	29,0	31,3	27,1	26,4	27,9
ნინოწმინდა	29,6	28,3	30,8	26,5	25,7	27,3

წყარო: ვ. ლორთქიფანიძე, ისტორიული მესხეთი, გვ 191

1989 წელს სიბერის დასაწყისის პერიოდად ანგარიშობდნენ 60 წელზე მაღალი მოსახლეობის წილს მთელს მოსახლეობაში, ანუ დაბერების კოეფიციენტს. მოსახლეობის დაბერების პროცესის სრულყოფილი ანალიზისთვის აფასებენ მოსახლეობის დაბერების ხარისხს. იგი გაიანგარიშება 60 წლის და უფროსი მოსახლეობის რაოდენობის შეფარდებით 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის რაოდენობასთან. აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ ხანდაზმულ პირთა წილის ზრდა იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც 60 წლის და უფროსი მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ტემპი უსწრებს 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ტემპს.

ცხრილი 3.10

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის დაბერების პროცესის მაჩვენებლები 1926 და 1995 წლებში

	ხანდაზმულთა წილი (60 წლის და უფროსი) მოასხლეობის მთელს რაოდენობაში (პროცენტებში)			60 წლის და უფროსი მოსახლეობის რაოდენობის შეფარდება 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის რაოდენობასთან (პროცენტობით)	
	1926წ	1989წ	1995წ	1926წ	1995წ
ადიგენი	-	12,8	11,8	-	14,7
ასპინძა	-	13,7	13,5	-	15,9
ახალციხე	-	14,4	15,2	-	16,2
სამცხე	8,6	13,6	-	9,4	15,8
ახალქალაქი	-	10,4	11,1	-	11,6
ნინოწმინდა	-	9,8	9,9	-	10,9
ჯავახეთი	6,5	10,2	-	7,0	11,4
სამცხე-ჯავახეთი	**7,7**	**11,8**	**-**	**8,3**	**13,3**
საქართველო	**8,6**	**14,3**	**-**	**9,5**	**16,8**

წყარო: ვ. ლორთქიფანიძე, ისტორიული მესხეთი, გვ 192

1926 წელს მთლიანად სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ახალგაზრდა იყო, განსაკუთრებით კი ჯავახეთის მოსახლეობა. რაც შეეხება სამცხის მოსახლეობას, იგი დაბერების ზღვარზე იდგა. 1989 წელს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის დაბერების პროცესი გაღრმავებულია. საკუთრივ სამცხის მოსახლეობა ამ დროისთვის უკვე დაბერებულია. თითქმის ანალოგიური მონაცემებით ხასიათდება 1995 წელიც. ეს პროცესი კიდევ უფრო გამოკვეთილი იყო მთლიანად ქვეყანაში. რაც შეეხება ჯავახეთის

მოსახლეობას, იგი ოდნავ გადასცილდა დაბერების ზღვარს და დაბერების პროცესში იმყოფება. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

სამცხისა და ჯავახეთის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა რეპროდუქციული თვალსაზრისით საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან. მეოცე საუკუნის ბოლოსთვის სამცხეში, სადაც ქართველი მოსახლეობა წარმოადგენს უმრავლესობას, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა ისეთი იყო, რომ მომავალში მოსახლეობის მატების საფუძველს არ იძლეოდა. ჯავახეთში კი, სადაც მოსახლეობის უმეტესობას სომხები წარმოადგენდნენ, მოსახლეობის დაბერების მიუხედავად ასაკობრივი სტრუქტურა ისეთი იყო, მოსახლეობის გამრავლების მხრივ პერსპექტიულ მომავალს იძლეოდა.

მეოცე საუკუნის ბოლოსთვის უაღრესად მძიმე მდგომარეობაა ახალქალაქის რაიონის ქართულ მოსახლეობაში. მიგრაციის შედეგად იზრდება ხანდაზმულ მოსახალეობის ხვედრითი წილი, 60 წლის და უფროსი მოსახლეობა მთელს რაოდენობაში 16,6 პროცენტს შეადგენს, ხოლო 60 წლამდე ასაკის მოსახლეობაში - 20 პროცენტს. ყოველივე ამის გამო ქართველი მოსახლეობის მარტივი აღწარმოებაც ვერ ხდება. ჯავახეთში ქართველი მოსახლეობის მძიმე დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების რეალური შესაძლებლობები წარმოიშვა მას მერე, რაც აქ მთიანი აჭარიდან სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ორგანიზებული ჩამოსახლება დაიწყო. მთლიანად ახალქალაქის რაიონის ქართველი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა სასიკეთოდ შეიცვალა. ჩამოსახლებულთა მთელ რაოდენობაში 20 წლამდე ასაკის მოსახლეობა 50 პროცენტამდე აღწევდა. (ვ. ლორთქიფანიძე, 1998)

3.1 მესხეთელი მუსლიმები[3]

როდესაც მიმოვიხილვათ მეოცე საუკუნის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-დემოგრაფულ განვითარებას, არ შეიძლება ცალკე არ გამოიყოს და გვერდს ვერ ავუვლით ისეთ ისტორიულ ფაქტს, როგორიცაა 1944 წლის მასობრივი დეპორტაციები სამცხე-ჯავახეთიდან. როგორ მზადდებოდა ეს პროცესი, რა იყო მისი უშუალო მიზეზი, რა შედეგები მივიღეთ და რა განვითარებას უნდა ველოდოთ, ეს ურთულესი საკითხია და მოითხოვს კომპლექსურ კვლევას.

1944 წლის 24 ივლისს ლავრენტი ბერია იოსებ სტალინს წერდა: *„საქართველოს სსრ რესპუბლიკის თურქეთთან მოსაზღვრე რაიონებში თურქი მოსახლეობა ცხოვრობს. მრავალი წლის განმავლობაში მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც ენათესავებიან თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში მცხოვრებლებს – ამჟღავნებენ ემიგრაციულ განწყობას; დაკავებულნი არიან კონტრაბანდითა და თურქეთის სადაზვერვო ორგანოებისთვის წარმოადგენენ ჯაშუშური ელემენტების წყაროს, გადმობირებისა და ბანდიტური ჯგუფების ფორმირებისთვის...”*[ტაბულა, 2011]

1944 წლის 15 ნოემბერს საბჭოთა კავშირმა დაიწყო მკაცრად გასაიდუმლოებული მისიის, - მესხეთელი მუსლიმების დეპორტაციის მასშტაბური ოპერაციის შესრულება. ეროვნული ნიშნით გადასახლებას ექვემდებარებოდა დასახელებული რაიონების ყველა მცხოვრები, გარდა პოტენციურ გადასახლებულთა ეროვნებას მიკუთვნებული მდედრობითი სქესის პირებისა, რომლებიც კანონიერ ქორწინებაში იმყოფებოდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან. როგორც აღინიშნა, გადასახლება დაიწყო 1944 წლის 15 ნოემბრის დილას, 18:00 საათზე უკვე ეშელონებში ჩატვირთული იყო 27 ათასამდე ადამიანი. ორი დღის შემდეგ, 17 ნოემბერს 16:00 საათზე დეპორტირებული იყო 81 300 ადამიანი. 1944 წლის 28 ნოემბერს კი ლავრენტი ბერია წერილობით ახსენებს სტალინს, მოლოტოვს, მალენკოვს, რომ სამცხე-ჯავახეთიდან

[3] შენიშვნა: იმ დროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებში მესხეთელი მუსლიმები მოხსენიებულნი არიან, როგორც თურქული წარმომავლობისა და ეროვნების პირები. ტერმინები - "კავკასიელი თურქები", "საბჭოთა თურქები", "მესხეთელი თურქები" და "თურქი მესხები" საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საშუალებების მიერ მოგვიანებით, 70-იან წლებში დამკვიდრდა, რომელთაგანაც უკანასკნელმა ორმა ტერმინმა განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა. ნაცვლად დამკვიდრებული ტერმინისა „თურქი მესხები“, რომელიც, ჩემი აზრით, პროვოკაციულად შექმნილი ტერმინია, ვიყენებ სამართლიან ტერმინს - მესხეთელი მუსლიმები“

მოსახლეობის გადასახლება დამთავრდა 15-18 ნოემბერს, ხოლო აჭარიდან 25-26 ნოემბერს. გადასახლებულია სულ 91 095 ადამიანი. ცოტა მოგვიანებით, 1945 წლის იანვარში სახკომსაბჭოში მიქოიანის სახელზე გაგზავნილ წერილში ლავრენტი ბერია გადასახლებულთა რაოდენობას 92 374 ადამიანს ასახელებს. (ვ. ლორთქიფანიძე, 2019)

სულ საქართველოს სსრ-დან, სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის N6279-სს დადგენილების საფუძველზე გადაასახლეს 19 818 ოჯახი. მათ შორის: თურქები - 14 493 ოჯახი; ქურთები - 1 830 ოჯახი; აზერბაიჯანლები - 3 058 ოჯახი; იეზიდები - 7 ოჯახი; თათრები - 126 ოჯახი და ხემშილები - 304 ოჯახი; (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი)

მესხეთელი მუსლიმების ჩასახლება განხორციელდა შუა აზიის რესპუბლიკებში. მათ დეპორტაციას დროის სხვადასხვა პერიოდებში გამოეხმაურნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები, ინტელიგენცია, დისიდენტური და არაფორმალური ორგანიზაცები (ამ ტალღაზე 80-იან წლებში საქართველოში ორგანიზებულად და მასობრივად დაბრუნდა რამოდენიმე ასეული ოჯახი), თუმცაღა მოგვიანებით, განსაკუთრებით 1989 წლის 23 მაისის ფერგანას ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, ზოგიერთმა მათგანმა პოზიცია შეიცვალა და გაისმა მოწოდებები "თურქების" საქართველოდან უკან გარეკვის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იყო როგორც მთლიანად ქართულ საზოგადოებაში, ასევე თვით "თურქ მესხთა" შორისაც, ვინაიდან იკვეთებოდა განსხვავებული თვითშეგნება და პოზიცია. ერთი ნაწილი საკუთარ თავს თვლიდა და თვლის ქართველებად, მეორე ნაწილი - თურქებად; არსებობდა მესამე, ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილიც, რომელსაც ნაციონალური იდენტობა არ გააჩნდა. (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი)

საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში 90-იანი წლების ბოლოს, როდესაც პრობლემის მოგვარების მცდელობაში ჩაერთვნენ მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები და განახლდა მუშაობა დეპორტირებულთა რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის პროცესის დაწყებისათვის აუცილებელი საშუალებებისა და გზების მოსაძიებლად. (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი)

1999 წელს, ევროსაბჭოში გაწევრიანებისას, საქართველომ მათი რეპატრიაციის საკანონმდებლო ბაზის მომზადებისთვის ვალდებულება აიღო. 2007 წელს ქვეყანამ, ამ ვალდებულებებიდან გამომდინარე, მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ კანონი მიიღო. მასში გაწერილი სამართლებრივი მექანიზმებით მესხებს შეუძლიათ ჯერ სტატუსი და შემდეგ მოქალაქეობა მიიღონ. ამ კანონის მიზნად ისტორიული სამართლიანობის აღდგენა გამოცხადდა. ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე არ არის, ფინანსური კომპენსაციის ვალდებულება არ აუღია. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ მესხებსა და მათ პირდაპირ შთამომავლებს ერთი წელი მიეცათ, რომ შესაბამისი განცხადებით საქართველოს სახელმწიფოსათვის მიემართათ. შემდეგ ვადა კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდა და 2010 წლის 1 იანვარს ამოიწურა. სულ შემოსულია 5841 განცხადება. (ტაბულა, 2011)

ჩემი აზრით, საქართველოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯი, მესხეთელი მუსლიმების საქართველოში დაბრუნების ვალდებულების აღების შესახებ, დაუფიქრებლად შეიძლება შეფასდეს. რა თქმა უნდა, გადასახლებულთ აქვთ მორალური უფლება მოითხოვონ სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ამ პროცესს აქვს მეტად რთული ასპექტები, რომელიც ფუნდამენტურ კვლევას მოითხოვდა და დღემდე მოითხოვს. უნდა გაირკვეს დღეს რეალურად რამდენია მესხეთიდან გადასახლებულთა რიცხვი და მათი შთამომავლები. გამოსაკვლევია ამ რიცხვიდან რამდენს უნდა საქართველოში დაბრუნება ან უნდათ კი მათ შთამომავლებს სამცხე-ჯავახეთში დაბრუნება, როცა ისინი სულ სხვა გარემოსა და საზოგადოებაში დაიბადნენ და გაიზარდნენ? როცა ვლაპარაკობთ დეპორტირებულთა დაბრუნებაზე ყველა დეტალი და პრობლემა კარგად უნდა იყოს შესწავლილი, უნდა დადგინდეს დასაბრუნებელთა რიცხი, სტრუქტურა და მოტივები.

თავი IV. სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული მდგომარეობის მიმოხილვა XXI საუკუნეში

რეგიონში 5 ქალაქი, 7 დაბა, 71 თემი, 11 სათაო სოფელი და 259 სოფელია. სასოფლო დასახლებაში ცხოვრობს მოსახლეობის 65,9%, ხოლო საქალაქო დასახლებაში - 34,1%. მხარეში სახელმწიფო მმართველობას ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016)

1989 წლის საყოველთაო აღწერის შემდეგ საყოველთაო აღწერები საქართველოში, შესაბამისად სამცხე-ჯავახეთშიც, ჩატარდა 2002(პირველი საყოველთაო აღწერა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში) და 2014 წლებში. 2002 წლის მონაცემებით სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობამ 183 096 კაცი შეადგინა, ხოლო 2014 წელს - 161 678 კაცი, რაც 2002 წლის მონაცემთან შედარებით 21,4 ათასი კაცით ნაკლებია.

დიაგრამა 4.1

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის დინამიკა 2002-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც დიაგრამიდან ჩანს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად იკლებს. მოსახლეობა 2002 წლის საყოველთაო აღწერიდან 2018 წლამდე 27,2 ათასი კაცით შემცირებულია.

ცხრილი 4.1

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით 2002-2018 წლებში

	2002	2006	2010	2014	2018
ადიგენის	17,7	17,4	17,1	16,5	16,3
ასპინძის	11,3	11,1	10,8	10,4	10,5
ახალქალაქის	52,3	50,0	47,8	45,4	42,9
ახალციხის	42,1	41,4	40,4	39,1	39,4
ბორჯომის	30,2	28,9	27,4	25,5	25,2
ნინოწმინდის	29,5	27,9	26,3	24,7	21,5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 4.1-დან ჩანს, რომ როგორც მთლიანად სამცხე-ჯავახეთში, ისე მის ცალკეულ მუნიციპალიტეტში მოსახლების რაოდენობა ყოველწლიურად იკლებს. მოსახლეობის კლების მიზეზის გამოსაკვლევად საჭიროა შევისწავლოთ მისი მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა.

რაც შეეხება მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით მთლიანად სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის 50,5% სომეხია, 48,3% ქართველი, 0,4% კი რუსი. ქ. ახალციხეში მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ ქართველები 71,7%-ით, სომხები - 26,7%, რუსი - 0,4%. ადიგენის მუნიციპალიტეტშიც აბსულუტურ უმრავლესობას ქართველები წარმოადგენენ 97,1%-ით, სომხები - 2,3%, რუსები - 0,2%. ასპინძის მუნიციპალიტეტში ქართველი მოასხლეობის პროცენტული წილია 86,4%, სომეხი - 13,3%, რუსი 0,1%. სხვა ვითარებაა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, აქ მოსახლეობის 92,9%-ს სომხები წარმოადგენენ, ქართველები - 6,8, რუსი - 0,1%. ახალციხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 64,8 პროცენტს ქართველები

წარმოადგენენ, სომხები 34,5 პროცენტს, ხოლო რუსები - 0,3%. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 87,2 პროცენტს ქართველები წარმოადგენენ, სომხები - 8,6%, ოსი - 1,3%, სხვა - 2,9%. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სომხები წარმოადგენენ - 95,0%, ქართველები - 4,2%, ხოლო რუსები 0,8%. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018)

დიაგრამა 4.2

მოსახლეობის განაწილება (%) აღმსარებლობის მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბუნებრივი მოძრაობის დასახასიათებლად უპირველესად უნდა გავაანალიზოთ შობადობისა და მოკვდაობის დონე. ამისთვის საჭიროა გავიანგარიშოთ შობადობისა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები.

ცხრილი 4.2

სამცხე-ჯავახეთისა და მისი ცალკეული მუნიციპალიტეტების შობადობის ზოგადი კოეფიციენტები 2002-2018 წლებში[4]

	2002	2006	2010	2014	2018
სამცხე-ჯავახეთი	11,58	11,95	14,06	14,38	13,59
ადიგენის მუნიციპალიტეტი	11,26	10,47	14,03	16,49	14,81
ასპინძის მუნიციპალიტეტი	11,49	11,49	14,01	17,24	14,71
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	11,40	10,91	14,08	13,50	13,92
ახალციხის მუნიციპალიტეტი	11,78	13,20	14,03	10,04	12,82
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	11,94	13,82	14,09	13,79	12,74
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	11,46	11,10	14,10	14,25	13,89

შობადობის ზოგადი კოეფიციენტი მეოცე საუკუნის ბოლოსთან შედარებით მცირედით შემცირებულია, თუკი გასულ საუკუნეში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შობადობის ზოგადი კოეფიციენტი მაღალი იყო ქვეყნის ამავე მაჩვენებელზე, 2018 წლისთვის აღნიშნული კოეფიციენტი ქვეყნის ზოგად მაჩვენებელს უტოლდება.

ცხრილი 4.3

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები 2002-2018 წლებში[5]

	2002	2006	2010	2014	2018
სამცხე-ჯავახეთი	10,77	11,13	14,15	12,84	12,43
ადიგენის მუნიციპალიტეტი	10,25	9,09	14,38	13,64	12,41
ასპინძის მუნიციპალიტეტი	10,61	10,49	14,20	14,94	12,15
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	10,40	9,68	14,29	11,51	10,96

[4] მონაცემები გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

[5] მონაცემები გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

ახალციხის მუნიციპალიტეტი	11,18	12,88	13,91	14,14	11,88
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	11,51	13,72	13,91	15,79	14,93
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	10,44	9,94	14,33	10,18	13,60

სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გაცილებით მაღალია, ვიდრე იყო მეოცე საუკუნისთვის ბოლოსთვის. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს მეოცე საუკუნეში დაწყებული მოსახლეობის დაბერების პროცესით და მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისთვის ჯანდაცვის ხელმიუწვდომლობით. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი სამცხე-ჯავახეთისთვის უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყნის ამავე ზოგადი მაჩვენებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთში სიკვდილიანობის გამომწვევ მიზეზად პირველ ადგილას დგას სისხლის მიმოქცევის სისტემის დარღვევები.

საბოლოო ჯამში სამცხე-ჯავახეთი ხასიათდება უმნიშვნელო ბუნებრივი მატებით. გარკვეულ მუნიციპალიტეტებში კი სახეზე გვაქვს ბუნებრივი კლება. ამ მხრივ ყველაზე ცუდი ვითარებაა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სადაც უკანასკნელ წლებში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ნულის ზღვართან ან უარყოფით ნიშნულშია. ყველაზე მაღალი ბუნებირივი მატების მაჩვენებელი 2014 წელს დაფიქსირდა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ხოლო 2018 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, აღსანიშნავია, რომ ორივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ სომხები. თუმცა, ქართული მოსახლეობის შობადობის მაჩვენებლები, შობადობის წახალისების გარკვეული ღონისძებების ჩატარების შემთხვევაში, სამომავლოდ იმედისმომცემად გამოიყურება.

ცხრილი 4.4

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტები 2002-2018 წლებში[6]

	2002	2006	2010	2014	2018
სამცხე-ჯავახეთი	0,81	0,82	-0,08	1,54	1,16
ადიგენის მუნიციპალიტეტი	1,02	1,38	-0,35	2,85	2,40
ასპინძის მუნიციპალიტეტი	0,88	0,99	-0,19	2,30	2,56
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	1,00	1,23	-0,21	2,00	2,96
ახალციხის მუნიციპალიტეტი	0,59	0,31	0,12	-4,10	0,94
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	0,43	0,10	0,18	-2,00	-2,18
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	1,02	1,16	-0,23	4,06	0,29

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი მატების მაჩვენებელი სოფლად გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქად.

შობადობის დინამიკის შესახებ დამატებით მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა რიგითობის მიხედვით. სხვადასხვა რიგითობის ბავშვები ჩნდებიან თავიანთი დედების სხვადასხვა ასაკებში და ოჯახის ცხოვრების სხვადასხვა პირობებში. განსხვავებულია სხვადასხვა რიგითობის ბავშვების გაჩენის მოტივაციაც. პირმშოებს ჩვეულებრივ დაქორწინების შემდეგ, ახალგაზრდა ასაკში აჩენენ, თუნდაც ერთადერთი ბავშის გაჩენაზე უარს არავინ ამბობს. მეორე ბავშვის გაჩენა დამოკიდებულია სტრუქტურულ ფაქტორებზე. მეორე ბავშვზე მოთხოვნილება არც ისე საყოველთაოა, როგორც მოთხოვნილება პირველ ბავშვზე. იგი სუსტდება მთელი რიგი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებებით. რაც უფრო დაბალია გაჩენის რიგითი ნომერი, მით მეტია სტრუქტურული ფაქტორების როლი, ხოლო ნაკლებია მოტივაციური ფაქტორების როლი და პირიქით. (ვ.ა. ბორისოვი, 2001)

[6] მონაცემები გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

ცხრილი 4.5

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა გაჩენათა რიგითობის მიხედვით სამცხე-ჯავახეთში და მუნიციპალიტეტებში (აბსოლუტურ რიცხვებში)

2014 და 2017 წლებში

	2014 წელი				2017 წელი			
	სულ დაბადებულები	რიგითობა			**სულ დაბადებულები**	რიგითობა		
		1	2	3+		1	2	3+
ადიგენი	**272**	120	107	45	**246**	93	99	54
ასპინძა	**180**	89	56	35	**160**	50	64	46
ახალქალაქი	**609**	274	247	88	**589**	242	235	112
ახალციხე	**230**	92	90	48	**551**	200	195	155
ბორჯომი	**351**	133	147	70	**323**	122	130	81
ნინოწმინდა	**347**	141	163	43	**309**	102	133	74
სამცხე-ჯავახეთი	**2315**	**992**	**946**	**376**	**2178**	**799**	**856**	**522**

როგორც აქამდე აღინიშნა, ამა თუ იმ ქვეყნის და მისი ცალკეული რეგიონების ჯანდაცვის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს წარმოადგენს ჩვილთა მოკვდაობა, იგი ჰუმანური განმვითარების ინდექსის ერთ-ერთ ინდიკატორიცაა. სამცხე-ჯავახეთში ეს მაჩვენებელი საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით მკვეთრად განსხვავდება. 2002 წელს, მეოცე საუკუნის მსგავსად, ჩვილთა მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი ჯერ კიდევ ძალიან მაღალი იყო, შემდგომ წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, თუმცა მაინც მაღალ მაჩვენებლად შეიძლება შეფასდეს. ამასთან, 2018 წელს, ის ქვეყნის ანალოგიურ ზოგად მაჩვენებელზე (8,1 პრომილე) მაღალია.

ცხრილი 4.6

ჩვილთა მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი სამცხე ჯავახეთში 2002-2018 წლებში[7]

	2002	2006	2010	2014	2018
საქალაქო დასახლება	40,51	16,21	14,71	12,72	7,81
სასოფლო დასახლება	6,05	8,98	6,44	6,54	10,22
სულ	**18,94**	**12,38**	**9,28**	**8,64**	**9,49**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დემოგრაფიული მაჩვენებელია ქორწინებისა და განქორწინების მაჩვენებელი. მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობა - ესაა მისი დამოკიდებულება ქვეყნის კანონებისა და ადათ-წესების შესაბამის ქორწინების ინსტიტუტთან. (ვ.ა. ბორისოვი, 2001)

ცხრილი 4.7

ქორწინებისა და განქორწინების მაჩვენებლები სამცხე-ჯავახეთში

2002-2018 წლებში

(აბსოლუტურ რიცხვებში)

	2002		2006		2010		2014		2018	
	ქორწინება	განქორწინება	ქორწინება	განქორწინება	ქორწინება	განქორწინება	ქორწინება	განქორწინება	ქორწინება	განქორწინება
სასოფლო	459	0	644	7	984	44	899	116	614	113
საქალაქო	190	42	339	29	484	66	493	91	307	120
სულ	**649**	**42**	**983**	**36**	**1468**	**110**	**1392**	**207**	**921**	**233**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, რეგიონული სტატიისტიკა, სამცხე-ჯავახეთი

[7] მონაცემები გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 4.3

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება (%) ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით

2014წ



წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018)

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა აქტიურ როლს თამაშობს ყველა საზოგადოებრივ და რა თქმა უნდა, დემოგრაფიულ პროცესებშიც, გარდა ამისა, იგი გავლენას ახდენს ყველა დემოგრაფიულ მაჩვენებელზე. თავის მხრივ, დემოგრაფიული პროცესებიც გავლენას ახდენენ მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე. მოსახლეობა ძირითადად ჯგუფდება შემდეგი ასაკობრივი ჯგუფებით: 0-14 (შრომისუნარამდელი), 15-64 (შრომისუნარიანი), 65+ (ხანდაზმული ასაკი). სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 19.8 პროცენტია, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წილი – 66.3 პროცენტი, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 14.0 პროცენტია. რეგიონში 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობამ 128 788 კაცი შეადგინა, მათგან 67.4 პროცენტი იმყოფება ქორწინებაში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018) (2014

წლის აღწერის მიხედვით სამცხე-ჯავახეთისა და მისი საქალაქო და სასოფლო დასახლებების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდების სანახავად იხილეთ დანართიN4, დანართიN5 და დანართი N6)

დიაგრამა 4.4

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის განაწილება (%) ძირითადი ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით

2014 წელი



წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018)

ცხრილი 4.8

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის საშუალო და მედიანური ასაკი სქესის მიხედვით

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით

	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
საშუალო ასაკი	37,7	35,6	39,7
მედიანური ასაკი	36	33	39

სამცხე-ჯავახეთში იზრდება მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. ეს პროცესი გამოიწვია 1 წლამდე და აგრეთვე 1-15 ასაკობრივ ჯგუფში ბავშვთა მოკვდაობის შემცირებამ. ცხადია, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფებში მოკვდაობის შემცირების შედეგად იზრდება ახალგაზრდების რაოდენობა. ამავე დროს, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ საკვლევ რეგიონში იზრდება ხანდაზმულთა წილი. მოსახლეობის დაბერების პროცესს იწვევს შობადობის დონის თანდათანობით შემცირება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიხედვით მოსახლეობა დაბერებულად ითვლება, თუ 65 და მეტი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის პროცენტული წილი აღწევს 7 პროცენტს. სამცხე-ჯავახეთში კი ეს მაჩვენებელი როგორც სოფლად, ისე ქალაქად 14 პროცენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა უკვე დაბერებულია.

სამწუხაროდ, არ არსებობს რეგიონული სტატისტიკა მიგრაციის შესახებ. თუმცა გარკვეული დემოგრაფიული მაჩვენებლების გაანგარიშებით შესაძლებელია მიგრაციული სალდოს გამოთვლა. თუმცა, მასაც გააჩნია უარყოფითი მხარე, კერძოდ, ასეთი გაანგარიშებით შეუძლებელია მიგრაციული პროცესების მიზეზებისა და მიმართულებების დადგენა.

ცხრილი 4.9

სამცხე-ჯავახეთის მიგრაციული სალდო

(ავტორისეული გაანგარიშება)

2002	2006	2010	2014	2018
-1352	-1608	-2400	-1417	-1769

გაანგარიშებიდან ჩანს, რომ გაანგარიშების თითოეულ წელს მიგრაციული სალდო უარყოფითია და ხასიათდება მზარდი ტენდენციით. რადგან მიგრაციულ პროცესებში ჩართულია მოსახლეობის ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფები, სამომავლოდ მოსალოდნელია, რომ ისედაც დაბერებული მოსახლეობა კიდევ უფრო ხანდაზმული გახდება, ხოლო ხანდაზმულ ადამიანთა წილის ზრდას თან ახლავს მწვავე სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და მორალური პრობლემები.

თავი V . პროგნოზი

ნებისმიერ სოციალურ პროგნოზირებასა და დაგეგმვას საფუძლად დემოგრაფიული პროგნოზები უდევს. რასაც არ უნდა ვგეგმავდეთ პერსპექტივაში კონკრეტული საქონლისა თუ მომსახურების წარმოებას, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას, მისი ოჯახის ზომისა და შემადგენლობის სტრუქტურის ჩათვლით, ნებისმიერი სოციალური პროცესის განვითარებას - ყველა შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა საჭიროა, გავიგოთ ამ სოციალურ პროცესებში მომავალ მონაწილეთა რიცხვი და შემადგენლობა სქესისა და ასაკის მიხედვით. (ვ.ა. ბორისოვი, 2001)

მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის პროგნოზი შეიძლება გარკვეულ ინტერესს წარმოადგენდეს უმთავრესად საპროგნოზო პერიოდის წინ შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის შორეული შედეგების შეფასებისთვის. უფრო ხშირად ასეთი პროგნოზების საფუძვლად ჩადებულია მოსახლეობის საერთო მატების კოეფიციენტის უკვე აღრიცხული, ან სავარაუდო უცვლელობა. (ვ.ა. ბორისოვი, 2001)

ჩემ მიერ ჩატარებული გაანგარიშებიდან ირკვევა, რომ თუკი დავუშვებთ მოსახლეობის საერთო მატების კოეფიციენტი უცვლელი დარჩება საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში (პროგნოზი გაკეთებულია 30 წელზე) და იგივე დარჩება რაც იყო გაანგარიშების წელს (2018 წელს), სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა დაიკლებს 53 070 კაცით და გახდება 102 833 კაცი, ანუ მოსახლეობა შემცირდება 35%-ით.

თუკი გავიანგარიშებთ ჩაკეტილი მოსახლეობის მაგალითზე, ანუ დავუშვებთ, რომ მიგრაციული პროცესები არ იქნება, რაც საკმაოდ არარეალურია, მაშინ მოსახლეობა 2049 წლისთვის გახდება 161 303 კაცი, ანუ მოიმატებს 5400 კაცით, რაც 3.4 პროცენტიანი ნამატია. ამ დაშვებით ნათლად გამოიკვეთა, რომ სამცხე-ჯავახეთის უდიდესი პრობლემაა ემიგრაციული პროცესები და რეგიონი ყველაზე დიდ მოსახლეობის დანაკარგს მიგრაციული პროცესებით განიცდის, რადგან მხოლოდ ბუნებრივი მატების კოეფიციენტის გაანგარიშებისას სამომავლოდ რეგიონის საერთო მოსახლეობის რაოდენობას შემცირება არ ემუქრება.

სამცხე-ჯავახეთში მიგრაციული პროცესები და მათი შედეგები საკმაოდ მკვეთრად არის გამოკვეთილი. მიგრაცია აქ დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესების

ერთ-ერთი ძირითადი და გადამწყვეტი ფაქტორია. დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის გამრავლება და ინტენსიური მიგრაციული პროცესების შეჩერება ღრმად მოფიქრებულ ღონისძიებათა სისტემას საჭიროებს, რომელიც სახელმწიფოებრივ დონეზე იქნება აყვანილი და ფართო საზოგადოებრიობის თანადგომითა და მხარდაჭერით განხორციელდება.

დასკვნა

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს მნიშვნელოვანი კუთხეა. იგი ისტორიულად ზემო ქართლში - მესხეთში შედიოდა. ამ მხარემ უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული დაწინაურების საქმეში.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა მე-19 საუკუნეში მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუ ადრე მხარე თითქმის მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, მე-19 საუკუნიდან სამცხისა და ჯავახეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს სომხები შეადგენდნენ.

მეოცე საუკუნეში საქართველოს არც ერთ ისტორიულ კუთხეში არ შეცვლილა ისე საგრძნობლად მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა, როგორც სამცხე-ჯავახეთში. ეს გარემოება 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან შუა აზიის რესპუბლიკებში მუსლიმი მოსახლეობის გადასახლებამ გამოიწვია. აღნიშნული საკითხი დღემდე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და დემოგრაფიული პრობლემაა.

მეოცე საუკუნეში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად შეიცვალა მე-19 საუკუნესთან შედარებით. შობადობის დონე თითქმის ორჯერ, ხოლო მოკვდაობის დონე ოთხჯერ შემცირდა. ამ პერიოდში სამცხე-ჯავახეთის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები გაცილებით უკეთესია, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში.

სიტუაცია შეიცვალა 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულში. ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები თანაბარია ქვეყნის ზოგადი მაჩვენებლებისა, მაგრამ ცალკეული მუნიციპალიტეტების შემთხვევაში ნაკლებ დამაიმედებელია. თუმცა ბუნებრივი მატების მაჩვენებელი საბოლოო ჯამში მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოებისთვის საკმარისია.

ჯავახეთში მწვავე დემოგრაფიულ ვითარებას ორი უმთავრესი ფაქტორი განაპირობებს - ქართველების სიმცირე და ისედაც მცირერიცხოვანი ქართველების ინტენსიური მიგრაცია.

მიგრაცია რომ აქ დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესების ერთ-ერთი ძირითადი და გადამწყვეტი ფაქტორია, მოწმობს სამომავლო გაანგარიშების შედეგები,

როცა მოსახლეობის ბუნებრივი მატების გზით მოსახლეობა მცირედით, მაგრამ მაინც იზრდება. ხოლო მიგრაციული პროცესების გავლენით სამომავლოდ 35%-ით შემცირდება.

საქართველოში არსებული მძიმე დემოგრაფიული ვითარება მეოცე საუკუნიდან გაუარესდა. კრიტიკულ ზღვარამდე დაეცა შობადობა, ახალშობილთა რაოდენობა არასაკმარისია თაობათა განახლებისთვის. ფართო მასშტაბი მიიღო გარე მიგრაციამ. მცირდება ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა და იზრდება 65 წლის და უფროსი მოსახლეობის ხვედრითი წილი, რაც მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებაზე მეტყველებს.

საქართველოში დემოგრაფიული პროცესები მკვეთრად განსხვავებულია სამხარეო-ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თითოეული რეგიონის სიღრმისეული შესწავლა. რეგიონული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და გატარება. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია საქართველოში მცხოვრები ძირითადი ეროვნებების დემოგრაფიული ქცევის თავისებურებათა შესწავლა, ამასთან კვლევები უნდა ჩატარდეს მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევისა და განწყობის შესასწავლად რეგიონულ დონეზე. ამავე დროს უნდა განხორციელდეს ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკა სიკვდილიანობის შემცირების მიზნით. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს თითოეული ეროვნების დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი თანაცხოვრების განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

ა.თოთაძე. (1993). საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. In ა. თოთაძე, *საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი* (p. 283). თბილისი: "სამშობლო".

ვ. ლორთქიფანიძე. (1998). *ისტორიული მესხეთი, დემოგრაფიული განვითარების პრობლემები.* (ლ. ჩიქავა, Ed.) თბილისი: მეცნიერება.

ვ. ლორთქიფანიძე. (2019, აპრილი). სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული მიმოხილვა. *ლიტერატურული მესხეთი* , 5-9.

ვ. ნოზაძე. (1989). *საქართველოს აღდგენისთვის ბრძოლა მესხეთის გამო, წიგნი I.* (გ. მამულია, Trans.) თბილისი: საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი.

ვ.ა. ბორისოვი. (2001). *დემოგრაფია.* თბილისი: NOTA BENE.

ვ.ლორთქიფანიძე. (1994). *სამცხე-ჯავახეთი IX-XX სს. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები.* (ბ. ბუაჩიძე, Ed.) თბილისი: მეცნიერება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018). *საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის ძირითადი შედეგები.* (პ. შ. გოგიტა თოდრაძე, Ed.) Retrieved 07 01, 2019, from census.ge: http://census.ge/files/pdf/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). *სტატისტიკური ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შესახებ.* Retrieved 07 01, 2019, from geostat.ge: https://www.geostat.ge/regions/

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. (n.d.). *ვინ არიან ე.გ "თურქი მესხები" , პრობლემის სათავეებთან.* Retrieved 6 29, 2019, from http://archive.security.gov.ge: http://archive.security.gov.ge/OLD_SITE_TEMP/meskhebi.php

ტაბულა. (2011, 04 29). *დეპორტირებული მესხები: ფერგანამდე და უკან.* Retrieved 6 29, 2019, from tabula.ge: http://www.tabula.ge/ge/story/54490-deportirebuli-mesxebi-ferganamde-da-ukan

დანართები

დანართი N1

სამცხის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა

1926 წელი [8;9]



[8] მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე პირამიდა აგებულია ავტორის მიერ

[9] ასაკობრივი ჯგუფები განაწილებულია შემდეგი თანმიმდევრობით (0-9, 10-19, 20-29, 30-39, 40-49, 50-59, 60-69, 70+)

დანართი N2

ჯავახეთის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა

1926 წელი [10];[11]



[10] მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე პირამიდა აგებულია ავტორის მიერ

[11] ასაკობრივი ჯგუფები განაწილებულია შემდეგი თანმიმდევრობით (0-9, 10-19, 20-29, 30-39, 40-49, 50-59, 60-69, 70+)

დანართი N3

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სქესობრივ ასაკობრივი პირამიდა

1926 წელი[12];[13]



[12] მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე პირამიდა აგებულია ავტორის მიერ

[13] ასაკობრივი ჯგუფები განაწილებულია შემდეგი თანმიმდევრობით (0-9, 10-19, 20-29, 30-39, 40-49, 50-59, 60-69, 70+)

დანართი N4

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა

2014 წელი[14]



[14] 2014 წლის აღწერის მონაცემები გაანგარიშებულია და აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

დანართი N5

სამცხე-ჯავახეთის საქალაქო დასახლების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა

2014 წელი[15]



[15] 2014 წლის აღწერის მონაცემები გაანგარიშებულია და აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

დანართი N6

სამცხე-ჯავახეთის სასოფლო დასახლების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა

2014 წელი[16]



[16] 2014 წლის აღწერის მონაცემები გაანგარიშებულია და აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

Ivane Javaxishvili Tbilisi State University

Salome Lomtatidze

Demographic Development of Samtskhe-Javakheti

Demography and Human Geography

Thesis submitted to the faculty of Demography and Human Geography in partial fulfillment of the requirements of the degree of master of science

Supervisor: **Vaja Lortkifanidze,**

Academician

Tbilisi 2019